მანანა ხომერიკი

წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი

სადაც ფიროსმანს აუგეს წესი

მანანა ხომერიკი

წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი

(სადაც ფიროსმანს აუგეს წესი)

თბილისი 2023

UDC (უაკ)271.2)479.22-25)
ხ-716

ისტორიის დოქტორი მანანა ხომერიკის ნაშრომში გადმოცემულია წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის ისტორია. დადგენილია მისი აშენების თარიღი — 1869 წელი. ნაჩვენებია ამ ეკლესიის მჭიდრო კავშირი მიხეილის საავადმყოფოსთან და საავადმყოფოს სასაფლაოსთან. დადგენილია, რომ მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილ უპატრონოებს წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში უგებდნენ წესს და შემდეგ საავადმყოფოს სასაფლოზე კრძალავდნენ. გარდა პანაშვიდებისა, ტაძარში ღვთისმსახურება სრული წესით მიმდინარეობდა: წირვა-ლოცვა, ნათლობა, ჯვრისწერა. პირველად არის გამოვლენილი ტაძარში სხვადასხვა დროს მოღვაწე ყველა მღვდლისა და დიაკვნის ვინაობა. ვრცლად არის განხილული მღვდელი ვასილ კარბელაშვილის ცხოვრების ის პერიოდი (1888-1903), როდესაც ის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი იყო. აღნიშნულია, რომ ის 2011 წელს, თავის ძმებთან ერთად, წმინდანად შეირაცხა და კანონიზაციის შემდეგ „წმინდა აღმსარებელი" ეწოდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიასთან სკოლის გახსნაში. ნაშრომში დოკუმენტურად დასაბუთებულია, რომ 1893 წელს მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილ ალექსანდრე ყაზბეგს სწორედ წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში აუგეს წესი. იგივე ბედი გაიზიარა ნიკო ფიროსმანაშვილმა. ფაქტებისა და დოკუმენტების შეჯერების საფუძველზე, საბოლოოდ დადგენილია, რომ ფიროსმანი 1918 წლის 4 მაისს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. 9 მაისს კი მას მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში აუგეს წესი და კუკიაზე, საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი დახურეს. მხოლოდ 1990-იან წლებში მოხერხდა საპატრიარქოსთვის მისი გადაცემა.

იდეის ავტორი:
წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვრი,
დეკანოზი ალექსანდრე (გალდავა).

რედაქტორი: *პროფესორი თამარ ცინცაძე*

© მანანა ხომერიკი, 2023
გამომცემლობა „მერიდიანი"

ISBN 978-9941-34-422-0

ს ა რ ჩ ე ვ ი

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის
ისტორიისთვის 4

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი —
მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი
(1888-1903) 23

ფიროსმანს (1866-1918) წმ. მიქაელ
მთავარანგელოზის ეკლსიაში აუგეს წესი 37

The Archangel Michael C hurch (where Pirosmani's
funeral was served). Summary 54

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ისტორიისთვის

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მიხეილის საავადმყოფოს ისტორიასთან, რადგან ის საავადმყოფოს ტერიტორიაზე აშენდა და საავადმყოფოს ეკლესია ერქვა. ეკლესიას ბაზილიკური ფორმა აქვს. ტაძრის შესასვლელზე დაშენებულია სამრეკლო, რომელსაც ჯვარი აგვირგვინებს. სამრეკლოში რკინის კიბეს მივყავართ, იქიდან კი, მგალობელთათვის მოწყობილ ქოროში ვხვდებით. ტაძრის კედლები ამჟამინდელი წინამძღვრის დეკანოზი ალექსანდრე გალდავას მიერ არის მოხატული.

მიხეილის საავადმყოფოს ფონდისთვის შედგენილ საარქივო განმარტებაში აღნიშნულია, რომ საქალაქო საავადმყოფო 1868 წლის 8 ნოემბერს დაარსდა [სეა, ფონდი 504, ანაწერი 1]. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, თავად საავადმყოფო იქამდე არსებობდა, ვიდრე შენობა აშენდებოდა, რასაც რამდენიმე საარქივო საქმე მაფიქრებინებს: 1831 წელს იხსენიება ტფილისის საქალაქო საავადმყოფოს გამგე ექიმი კარლ ქრისტიანის ძე ხანკინოვი [სეა,

ფ. 504, ან. 1, ს. 47, ფ 2; ფ. 504, ან. 1, ს. 34. ფ. 17]; შემონახულია 1831 წლის საქმე ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში ს. ხ. ხობერიძის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების შესახებ [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 34. ფ. 11]; ასევე, 1832 წლის მიმოწერა ტფილისის საქალაქო საავადმყოფოსთან გლეხი დ. კუდრიავცევის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების შესახებ [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 33]; ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში 1844-1885 წლებში შემოსული ავადმყოფების ალფაბეტური სია [სეა, ფ. 504, ან. 2, ს.1]; ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში 1853 წელს ავადმყოფების შემოსვლის აღრიცხვის წიგნი [სეა, ფ. 504, ან. 2, ს.1] და სხვა.

საავადმყოფოს ახალი შენობა 1865 წელს, არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის პროექტით აშენდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზალცმანი თბილისში ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტების მეორე თაობას ეკუთვნოდა, დაბადებული იყო თბილისში (იყო ცნობილი მხატარი ალექსანდრე ზალცმანის მამა). საავადმყოფო 1868 წლის 8 ნოემბერს დაარსდა. საარქივო საქმეში „ტფილისის საქალაქო საავადმყოფოსათვის მიხეილის სახელის მინიჭების შესახებ" ვკითხულობთ, რომ 1882 წლის 11 თებერვალს, საავადმყოფოს სახელწოდება გადაერქვა და მეფისნაცვლის, დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის პატივსაცემად მიხეილის საავადმყოფო ეწოდა [სეა, ფ. 504, ან. 3, ს. 4]. 1869 წელს, უკვე ჩნდება საავადმყოფოს ეკლესია. თავიდან **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია** მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილებისთვის წესის ასაგებად იყო გამიზნული. 1869 წელს ჯვარი არავის დაუწერია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2034], მაგრამ ტაძარმა თავისი არსებობის მეორე წლიდანვე დაიწყო ღვთისმსახურება სრული წესით: წირვა-ლოცვა, ნათლობა, ჯვრისწერა, გაჩდა მრევლი. 1870 წელს, თბილისის ქალაქის გამგეობამ მიხეილის საავადმყოფოს სასაფლაოსთვის მიწის ნაკვეთი გამოუყო, რომელიც კუკიის მართლმადიდებლური სასაფლაოს გვერდით მდებარეობდა. ასე შეიქმნა კომპლექსი, რომელიც სრულიად შეუსწავლელი იყო. ამ ფაქტის არცოდნა გახდა ძირითადი მიზანი იმისა, რომ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ფიროსმანის დაკრძალვის ადგილის დადგენა,

რასაც ცალკე თავში განვიხილავთ. უპატრონო მიცვალებულებს ნებისმიერ სასაფლაოზე კი არ კრძალავდნენ, არამედ მიხეილის და ე. წ. „არამიანცის“ საავადმყოფოებს მათი დაკრძალვის გარკვეული წესები ჰქონდათ შემუშავებული. კერძოდ, მიხეილის საავადმყფოში გარდაცვლილ უპატრონოებს ჯერ საავადმყოფოს, ანუ **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** აუგებდნენ წესს და შემდეგ საავადმყოფოს სასაფლაოზე კრძალავდნენ. ეკლესიის აშენების პირველ წელს ყველა მიცვალებული (93 კაცი და 31 ქალი) დაკრძალულია „ივერიის საერთო სასაფლაოზე“ [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2034], ხოლო მომდევნო 1870 წლიდან 1885 წლამდე კუკიაზე, საავადმყოფოს სასაფლაოზე (на Кукийском больничном кладбище) კრძალავდნენ მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილ უკლებლივ ყველა მიცვალებულს (ყოველ შემთხვევაში, ყველას, ვისაც საავადმყოფოს ეკლესიაში უგებდნენ წესს). როგორც ჩანაწერიდან ჩანს, მხოლოდ ვინმე 75 წლის აგრაფინია დაუკრძალავთ კუკიის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე, ხოლო ყველა დანარჩენი — საავადმყოფოს სასაფლაოზე. 1885 წლიდან, საავადმყოფოს სასაფლაოს გარდა, მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლიებს სხვაგანაც კრძალავდნენ, მაგალითად, კუკიის, ან პეტრე-პავლეს სასაფლაოებზე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1739]. ისიც აღსანიშნავია, რომ **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** მეტრიკულ წიგნებში „უცნობი“ მიცვალებული პირველად 1879 წელს გვხვდება [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1733].

მიხეილის საავადმყოფოს, სასაფლაოს გასახსნელად, 1903 წლის 4 იანვარს ნავთლუღშიც გამოეყო მიწის ნაკვეთი, მაგრამ როგორც ჩანს, იქ მიცვალებულის დაკრძალვა ფასიანი იყო და პანაშვიდებს მიქაელის ეკლესიაში არ იხდიდნენ. ამდენად, მიხეილის საავადმყოფოს ნავთლუღის სასაფლაო ჩვენი თემისთვის აქტუალური არ არის. ამის მიუხედავად, ჩემი ვარაუდის გასამყარებლად, საარქივო მასალას დავიმოწმებ. 1908 წლის 22 მარტს, ქალაქის გამგეობამ შეკითხვით მიმართა მიხეილის საავადმყოფოს: თანახმა იყო თუ არა იგი, რომ ქალაქის მიერ ნავთლუღის სამხედრო სასაფლაოს გვერდით გამოყოფილი საავადმყოფოს სასაფლაო

გაეღო უპოვართა უფასო დაკრძალვისათვის. მიხეილის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, 1908 წლის 3 აპრილს, ქალაქის გამგეობას უპასუხა, რომ უპოვართა დაკრძალვა მიხეილის საავადმყოფოსათვის ნავთლუღში გამოყოფილ სასაფლაოზე მოუხერხებელი იყო. ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ის მოიყვანა, რომ საფლავების გათხრა იჯარით ერთ პირს ევალებოდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სასაფლაოს სანიტარულ მდგომარეობაზე, საფლავების სწორ გათხრასა და მიწით ამოვსებაზე. თუ დაშვებული იქნებოდა უპოვართა დაკრძალვა საავადმყოფოს სასაფლაოზე, მაშინ მის სანიტარულ მდგომარეობაზე ვერც მოიჯარე და ვერც სასაფლაოს ადმინისტრაცია ვერ აგებდნენ პასუხს [სეა, ფ. 192, ან. 8, ს. 691, ფ. 3]. ცხადია, როდესაც **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** მეტრიკულ წიგნებში ვხვდებით უამრავ ჩანაწერს უცნობი მიცვალებულების „საავადმყოფოს სასაფლაოზე" დაკრძალვის თაობაზე — მხოლოდ და მხოლოდ კუკიაზე მდებარე სასაფლაო უნდა ვიგულისხმოთ.

1918 წლის აპრილში შედგენილი ტაბულიდან ჩანს, რომ მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში მსახურობდნენ: მართლმადიდებელი მღვდელი, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მღვდელი, მართლმადიდებელი დიაკვანი და მსახური [სეა, ფ. 507, ან. 1, ს. 4125, ფ. 93]. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ეკლესიის ყველა მეტრიკული წიგნი შევისწავლე (დაწყებული 1869 წლიდან 1920 წლის ჩათვლით) სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მღვდლების კვალს ვერ მივაგენი. არ არის გამორიცხული, რომ ისინი უშუალოდ საავადმყოფოში მსახურობდნენ და საჭიროების შემთხვევაში სომეხი ეროვნების მომაკვდავ ავადმყოფებს აზიარებდნენ. ეკლესიის მეტრიკული წიგნების გაცნობის შედეგად გამოვლინდა მღვდლების და დიაკვნების ვინაობა, რაც შეუსწავლელი იყო.

მთავარანგელოზი მიქაელის ეკლესიის მღვდლების და დიაკვნების ნუსხა:

1869 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი ქრისტეფორე ჩარკვიანი [სეა, ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე 2034].

1870 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი ქრისტეფორე ჩარკვიანი [სეა, ფ. 489, ან. 6, ს. 2113].

1871 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი ქრისტეფორე ჩარკვიანი
დიაკვანი მიხეილ მელითაური [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1727].

1872 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი ქრისტეფორე ჩარკვიანი
დიაკვანი მიხეილ მელითაური [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1727].

1873 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1728].

1874 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1728].

1875 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1729].

1876 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1730].

1877 წელი
მღვდელი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1731].

1878 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1732].

1879 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1733].

1880 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან, 7, ს. 1734].

1881 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
დეკანოზი პეტრე აღაპევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1736].

1882 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
დეკანოზი პეტრე აღაპევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1737].

1883 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
დეკანოზი პეტრე აღაპევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1738].

1884 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1735].

1885 წელი
დეკანოზი მიხეილ ლაზარევი
მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი

დროებით მივლინებული მღვდელი პლატონ გამრეკელოვი
მივლინებული მღვდელი დიმიტრი კოჭლაძე
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1739].

1886 წელი
დეკანოზი პეტრე აღაპევი
მღვდელი დავით გურგენიძე
მღვდელი ალექსი მოლოდინოვი
მღვდელი გრიგოლ მღებროვი
მღვდელი დიმიტრი კოჭლაძე მღვდელი კონსტანტინე დავიდოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1735].

1887 წელი
დეკანოზი პეტრე აღაპევი
მღვდელი რუსიევი
მღვდელი ანტონ ხახუტოვი
მღვდელი ევგენი ზვერევი
მღვდელი კონსტანტინე დავიდოვი
მღვდელი ნესტორ მაჭაროვი
მღვდელი იოანე თანდილოვი
მღვდელი დავით ბერიშევი
მღვდელი კონსტანტინე დავიდოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე
დიაკვანი ალექსანდრე მაღალდაძე
დიაკვანი გრიგოლ მატოტოვი
დიაკვანი გრიგორიევი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1741].

1888 წელი
მღვდელი ანტონ ხახუტოვი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1742].

1889 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1743].

1890 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
მღვდელი ეგორ ჩეპოვალოვი
მღვდელი ნესტორ მაჭაროვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1745].

1891 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
მღვდელი ნესტორ მაჭაროვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1747].

1892 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1749].

1893 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1751].

1894 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1753].

1895 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1756].

1896 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1758].

1897 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1760].

1898 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი

მღვდელი ნიკოლოზ მანჩევსკი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1762].

1899 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1764].

1900 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489 ან. 7, ს. 1776].

1901 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
მღვდელი ნესტორ მაჭაროვი
დიაკვანი სიმონ ცაბაძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1767].

1902 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
დიაკვანი ვასილ მოლოდინოვი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1769].

1903 წელი
მღვდელი ვასილ კარბელოვი
მღვდელი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი ვასილ მოლოდინოვი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1770].

1904 წელი
მღვდელი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი ვასილ მოლოდინოვი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1772].

1905 წელი
მღვდელი დავით ბარნაბოვი
მღვდელი კონსტანტინე დავიდოვი
მღვდელი იოანე პეტროვი
დიაკვანი ვასილ მოლოდინოვი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1774].

1906 წელი
მღვდელი იოანე პეტროვი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1776].

1907 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1778].

1908 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1781].

1909 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1782].

1910 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1784].

1911 წელი
მღვდელი ვასილ ვინოგრადოვი
დიაკვანი იოსებ კვალიევი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1787].

1912 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1789].

1913 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1790].

1914 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1972].

1915 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
რეალური სასწავლებლის მღვდელი ნიკოლოზ მალჩევსკი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1915].

1916 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1975].

1917 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბოვი
მღვდელი ქრისტესია თხინვალელი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1797].

1918 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბიშვილი
მღვდელი ნიკოლოზ ბარნაბიშვილი
მღვდელი ნიკოლოზ მალჩევსკი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1798].

1919 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბიშვილი
მღვდელი ნიკოლოზ ბარნაბიშვილი
სამხედრო მღვდელი ლუკა ივანეს ძე ოქროპირიძე
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1799].

1920 წელი
დეკანოზი დავით ბარნაბიშვილი
მღვდელი ნიკოლოზ ბარნაბიშვილი
მღვდელი მათე ალექსის ძე ალიოშკინი
დიაკვანი დავით კუჭაიძე [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1800].

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი, რომელსაც ქვემოთ ცალკე თავს ვუძღვნით, 1893 წლის წლიურ ანგარისში წერდა, რომ ეკლესიის მრევლს საავადმყოფოს მოსამსახურეები და მათი შვილები შეადგენდნენ [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, №17, გვ. 3]. ამა თუ იმ ეკლესიის მრევლის შესახებ უტყუარ ინფორმაციას გვაწვდიან მეტრიკული წიგნები, რომლებიც საქართველოში 1818 წლის დასაწყისიდან შემოიღეს

[სეა, ფ. 488, ან. 1, ს. 2116]. მეტრიკული წიგნები სამნაწილიანი იყო: I. დაბადებულთათვის. II. ჯვარდაწერილთათვის. III. გარდაცვლილთათვის. თავდაპირველად დაკრძალვის ადგილს არ უთითებდნენ, მაგრამ 1832 წლიდან ჩნდება სპეციალური გრაფა „სად და ვისგან არიან დამარხული", რაც შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, თუ რომელ სასაფლაოზე მარხავდნენ მიცვალებულებს. წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკული წიგნებიდან შემდეგი სურათი იხატება: გარდაცვლილთა ნაწილში შეყვანილი არიან ძირითადად მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილები, შესაბამისად, აქ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი გვხვდება. დაბადებულთა მშობლებისა და ჯვარდაწერილთა უმეტესობას კი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიების წარმომადგენელი გლეხები შეადგენენ. მეორე ადგილზე დგას ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის გლეხობა. როგორც ჩანს, საავადმყოფოს ეკლესიაში ჯვრისწერა ნაკლებად პრესტიჟული იყო. გვხვდება იშვიათი გამონაკლისებიც. მაგალითად, თავადმა ივანე დიმიტრის ძე ანდრონიკოვმა გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცოვის ასულ ეკატერინაზე დაიწერა ჯვარი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1770]. თავადი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ციციანოვის ასულ თამარს საგლეხო სამიწათმოქმედო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილების წევრ ივან ვასილის ძე რატუშენკოზე დაუწერია ჯვარი [სეა, ფ. 489 ან. 7, ს. 1781]. იგივე ითქმის ნათლობებზე. აქაც გვხვდება გამონაკლისები: სიღნაღის მაზრის მემამულე თავადმა ნიკოლოზ გიორგის ძე ანდრონიკოვმა სწორედ ამ ეკლესიაში მოანათლინა თავისი ვაჟი — გიორგი. მიმრქმელი იყო გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძის მეუღლე დარია რომანოზის ასული [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1770]; თავადი კონსტანტინე გრიგოლის ძე ციციანოვი და თავადის ასული მარია კონსტანტინეს ასული ჭავჭავაძე ქუთაისელი აზნაურის, სიმეონ ნესტორის ძე ლორთქიფანიძის, შვილის მიმრქმელები გამხდარან [სეა, ფ. 489, ან, 7, ს. 1797];

წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკულ წიგნში, მეფისნაცვალ დიდ მთავარ მიხეილ რომანოვსაც (ვის სახელსაც ატარებს საავადმყოფო) ვხვდებით, როგორც მიმრქმელს: 1872 წელს

დაიბადა ელენა. მშობლები — მისი საიმპერატორო უმაღლესობის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიის გრენადიორთა არტილერიის ბრიგადის მე-4 ბატარეის კაპიტანი სტანისლავ ეგნატეს ძე პარემბსკი, რომაულ-კათოლიკური სარწმუნოებისა და მისი კანონიერი მეუღლე ელისაბედ სტეფანეს ასული მართლმადიდებლური სარწმუნოებისა. მიმრქმელები იყვნენ მისი საიმპერატორო უმაღლესობა, დიდი მთავრი მიხეილ ნიკოლოზის ძე და ექიმი ეგნატე პარემბსკის ასული ანა [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1727]. 1900 წლის 16 ნოემბერს კი, მიხეილის ვაჟი, დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, დაუსწრებლად ხდება ქერჩელი მესჩანი ქალის, იუდეური სარწმუნოების ფანი გრიგოლის ასული საგიხის მიერ გაჩენილი ბავშვის მიმრქმელი [სეა, ფონდი 489, ანაწერი 7, საქმე №1766].

სოციალურ ქსელებში დევს ინფორმაცია, რომლის თანახმად 1889 წელს, სწორედ **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** დაიწერეს ჯვარი ე. წ. რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნის" ეპოქის საოჯახო დუეტმა - ზინაიდა გიპპიუსმა და დიმიტრი მერეჟკოვსკიმ [https://rutraveller.ru/place/155518]. (აქვე განვმარტავთ, რომ XIX და XIX საუკუნეების მიჯნაზე, რუსულ პოეზიას „ვერცხლის ხანა" უწოდეს. ეს ტერმინი წარმოიშვა "ოქროს ხანის" კონცეფციის ანალოგიით, რომელიც ტრადიციულად რუსული ლიტერატურის „პუშკინის პერიოდს" აღნიშნავს). ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის დადასტურება ვერ მოხერხდა, რადგან **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** მეტრიკულ წიგნებში დასახელებული ჯვრისწერა დაფიქსირებული არ არის. როგორც ჩანს, წყვილმა არ ისურვა.

1893 წლის 10 დეკემბერს, **მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგი.** მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ, ინტერნეტის მეშვეობით, შემდეგი ინფორმაცია მოვიძიე: „საყვარელი მწერლის ცხედარი 19 დეკემბერს საავდმყოფოდან ქაშვეთის ეკლესიაში დაასვენეს. სათანადო წესთა შესრულების შემდეგ პროცესია მწერლის მამულისკენ მიმავალი გზით გაემართა. უამრავი ხალხი მიაცილებდა მის ცხედარს" [https://burusi.wordpress.com/2009/09/20/kazbegi/]. მაშინვე გადავამოწმე ქაშუეთის მეტრიკული წიგნი [სეა, ფ. 489, ან, 7, ს. 2590], მაგრამ ჩანაწერი არ

აღმოჩნდა. **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** ჩანაწერებით კი ირკვევა, რომ მწერალს ჯერ ამ ეკლესიაში აუგო წესი მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1751] (სურ., №1), ხოლო შემდეგ მშობლიურ ყაზბეგში გადაასვენეს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1751]. დაკრძალეს თავისი სახლის ეზოში. თედო სახოკია იხსენებდა: „დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საქართველოში ასეთი ამბით მარტო ალ. ყაზბეგს ეღირსა დასაფლავება. ზღვა ხალხი, ქალი, კაცი, შეგირდობა, მწერლობის მსახურნი, საზოგადო მოღვაწენი. კუკიის ხიდთან რომ იყო სამგლოვიარო პროცესიის თავი, ბოლო ისევ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოსთან ჩანდა, დიდი მთავრის ქუჩაზე. გვირგვინები, გვირგვინები და კიდევ გვირგვინები, მანდილოსნების ხელით მოტანილ ცოცხალ ყვავილთა შორის კუბო არც კი ჩანდა. პროცესიამ გაიარა კუკიის ხიდი, აუხვია ბარიატინსკის (ამჟამად ჯორჯიაშვილის) ქუჩას, გაიარა გოლოვინის პროსპექტი, დასაკრძალავად თავის სამშობლო ყაზბეგში მიასვენებდნენ საქართველოს სამხედრო გზით. ვერაზე, ჯვართან კუბო დაასვენეს. პანაშვიდი გადაუხადა სამღვდელოებამ...“ [თედო სახოკია, „ჩვენი საუკუნის ადამიანები“, თბ., 1969, გვ.71]. „ორჯელ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველი ქართველის გულში ირხეოდა, და ასეთს აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“ [„ივერია“, 1893, №269]. (ორჯერ დაბადებულთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ გრიგოლ რობაქიძის თანახმად, ადამიანი მეორედ „გონის მხრივ“ იბადება [მ. ხომერიკი, ჰიერატიული „გველის პერანგსა“ და „ფალესტრაში“, ჟურნ. „განთიადი“, 1990 წ., №2]).

1918 წლის 4 მაისს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ფიროსმანი, ხოლო 9 მაისს მას წმ. **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** აუგეს წესი და საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში, საავადმყოფოში დიდი პრობლემები წარმოიშვა, რაც ცხადია საავადმყოფოს, ანუ **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაზეც აისახა.** 1918 წლის 12 მაისს შედგა მიხეილის საავადმყოფოს სამეურნეო კო-

მიტეტის სხდომა, რომელსაც საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი ს. ს. ვირსელაძე თავმჯდომარეობდა. სხვა საკითხებთან ერთად, მოისმინეს კუბოებით მომარაგების, საავადმყოფოში გარდაცვლილებისა და ქალაქიდან მოტანილი გვამების დაკრძალვის მეიჯარე ს. როსტომოვის განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იწურებოდა საავადმყოფოს მიერ მასთან დადებული ხელშეკრულების ვადა. 1918 წლის 15 მაისიდან ის მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაწვდიდა კუბოებს თავის საჭირო ნივთებთან ერთად, თუ თითო დასაფლავებაში გადაუხდიდნენ არა ნაკლებ 120 მანეთისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უარს ამბობდა მიწოდებაზე [სეა, ფ. 507, ან. 1, ს. 4125, ფ. 10]. ეს საკითხი 17 მაისის სხდომაზეც განიხილეს. შექმნილ ვითარებაში, სხდომამ გადაწყვიტა დროებით მიეღო როსტომოვის მიერ შემოთავაზებული პირობები და 120 მანეთი გადაეხადა მისთვის თითო დაკრძალვაში. როგორც ჩანს, მოგვიანებით საავადმყოფომ მიცემული პირობის შესრულება ვერ შეძლო, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო. 2 ოქტომბრის სხდომაზე ითქვა, რომ როსტომოვი აღარ ასაფლავებდა მიცვალებულებს. 4 ოქტომბრის სხდომაზე წაკითხული იქნა საავადმყოფოს მეთვალყურის მოხსენება მთავარი ექიმი გურკოს სახელზე. გაირკვა, რომ 26 სექტემბრის შემდეგ არც ერთი გვამი არ იყო დაკრძალული, რადგან როსტომოვმა ნაღდი ფულის მიღების გარეშე, უარი განაცხადა მათ დამარხვაზე. ხაზინა ტალონებს არ ანაღდებდა, რის გამოც, საავადმყოფოს დაედო როსტომოვის ვალი — 23 622 მანეთი. ეს საკითხი უშუალო კავშირშია **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიასთან.** ეკლესიაში 50 გვამი დაგროვდა, ამათგან 4 უკვე 15 დღის განავლობაში ინახებოდა. გვამები გაიხრწნა, დაიბერა, მატლები ფუთფუთებდნენ, იდგა დამახრჩობელი სუნი, რომელიც ეკლესიიდან საკმაო მანძილით დაშორებულ შენობებშიც კი აღწევდა და ჰაერს წამლავდა. ის ადამიანები, რომლებიც ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდნენ, ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ დაეწყოთ გულის წასვლა, გულღებინება და თავბრუსხვევა. მეზობლები აქტის შედგენით იმუქრებოდნენ. მძორის გამაბრუებელი სუნი დიდ მანძილზე ვრცელდებოდა. ნაღდი ფუ-

ლის მიღების გარეშე, არავინ თანხმდებოდა მიცვალებულების დამარხვაზე.

ექიმმა ჯავახოვმა 4 ოქტომბრის სხდომაზე წამოაყენა წინადადება კუბოებით მომარაგების ბერძენაშვილისთვის გადაცემის თაობაზე, რომელმაც იმ დღესვე მოზიდა ფიცრები კუბოების დასამზადებლად, მაგრამ გვამების სასაფლაოზე გადაზიდვა თავის თავზე ვერ აიღო. აუცილებელი იყო სამლოცველოს სასწრაფოდ დაცლა გახრწნილი გვამებისგან, რომელთა რიცხვი 40-ს აღწევდა. ერთადერთი გამოსავალი როსტომოვის მოწვევა იყო, რათა მას დაუყოვნებლივ დაეკრძალა მიცვალებულები. საავადმყოფო მზად იყო მისთვის 140 მანეთი გადაეხადა ყოველი მიცვალებულის დასაფლავებისთვის.

აქვეა დიდი მთავრის ქუჩის (შემდგომში კამოს სახელი ეწოდა, დღევანდელი დ. უზნაძის ქუჩა) მცხოვრებთა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მიხეილის საავადმყოფოს კომიტეტი არავითარ ყურადღებას აღარ აქცევს **საავადმყოფოს სამლოცველოს,** საიდანაც გვამების გახრწნის შედაგად, აუტანელი მყრალი სუნი გამოდის. მოსახლეობა ვერ აღებს ფანჯრებს, ვერ გამოდის ეზოში. ეს სუნი განსაკუთრებით დამღუპველია ბავშვებისათვის, რომლებშიც იწვევს პირღებინებას და თავის ტკივილს. მოსახლეობა მოითხოვდა, რომ იმ დღესვე გაეწმინდათ სამლოცველო, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მთავრობას მიმართავდნენ [სეა, ფ. 507, ან. 1, ს. 4125, ფ. 57ა].

წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკული წიგნის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ 1918 წლის 5 ოქტომბერს **ამ ეკლესიაში** წესი აუგეს და საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს 19 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე დროის მონაკვეთში გარდაცვლილი 17 მიცვალებული. აგრეთვე წესი აუგეს და ერთი ნომრით აღნიშნეს „ოცდარვა კაცნი უცნობი ვინაობითა", რომლებიც ასევე საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1798, ფ. 59ა.].

1 ნოემბრის სხდომაზე ექიმმა ჯავახოვმა განაცხადა, რომ როსტომოვი უნდა დაევიწყებინათ, ვინაიდან არსებობდა მისი არაკეთილსინდისიერების მტკიცებულება, სახელდობრ: მას მიცვალე-

ბულები სასაფლაომდე კუბოთი გადაჰყავდა, შემდეგ კი კუბოს გარეშე ჰყრიდა საფლავში. ვ. დაშკევიჩმა აღნიშნა, რომ თუ ექიმი ჯავახოვი ამგვარი ფაქტების არსებობის დამტკიცებას შეძლებდა, მაშინ როსტომოვი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცათ. იქამდე კი, შესაძლებელი იყო როსტომოვის წინადადების განხილვა. ბერძენაშვილმა სრული უუნარობა გამოიჩინა, ამიტომ საავადმყოფომ ისევ როსტომოვი მოიწვია. 29 ნოემბრის სხდომაზე აღინიშნა, რომ როსტომოვის ფირმა „მაიერი და როსტომოვი" თბილისში ყველაზე სოლიდურ ფირმად ითვლებოდა [სეა, ფ. 507, ან. 1, ს. 4125, ფ.77]. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა უკიდურესი გაჭირვების დროს. სულ ცდილობდა როგორღაც შეენარჩუნებინა საავადმყოფო და დახმარება აღმოეჩინა მოსახლეობისათვის.

საქართველოს ძალით გასაბჭოების შემდეგ, **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია დაიხურა.** ეკლესიის შენობას ლაბორატორია მიაშენეს, სადაც სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრა განთავსდა. ეკლესია კი აუდიტორიად გადაკეთდა. აქ სტუდენტებს ლექციები უტარდებოდათ. **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია** მხოლოდ 1996 წელს დაუბრუნდა საპატრიარქოს. ტაძრის კურთხევას ალექსანდრე ცინავა აგვიწერს: „1996 წლის 18 სექტემბერს, დღესასწაულის წინა დღეს, მეუფე ნიკოლოზმა მწუხრის ლოცვა აღავლინა, ზეთი სცხო მრევლს და კურთხევის აღსრულებას შეუდგა. აკურთხა ტაძრის ტრაპეზი, მირონი სცხო მას და სანაწილის წინ ამოკვეთილ ჯვარში წმიდა ნაწილი ჩაასვენა. შემდეგ მირონი სცხო ტაძრის შიდა კედლებს და ტაძარს საზეიმო პროცესიით გარს შემოუარა. ხოლო დღესასწაულის დღეს ტრაპეზს ოდიკი გადააფარა, მირონი სცხო ტაძრის გარე კედლებს... მწუხრის ლოცვისას და ლიტურგიისას განუწყვეტლივ გაისმოდა ზარების რეკვა" [„ტაძრის სიცოცხლე", გაზ. მადლი. 1996 წ. 25 ოქტ. № 7-8]. გიორგი მაჭარაშვილი გვაწვდის ცნობას, რომ მიხეილ თუმანიშვილის ოჯახმა რეჟისორის კოლექციიდან მისი ანდერძისამებრ **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარს** შესწირა მცირე ზარი, რომელიც XIX საუკუნით თარიღდება [გიორგი მაჭარაშვილი, გაზეთი „მადლი", 2003 წ. №10-11].

მას შემდეგ, რაც **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია** საპატ-

რიარქოს დაუბრუნდა, პირველი წინამძღვარი გახდა დეკანოზი კახაბერ ღაჟომია 1996-1997, ხოლო 1997 წლიდან დღემდე ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი ალექსანდრე გალდავა. ეკლესიაში სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ: 1998 წლიდან დეკანოზი ზაქარია გოჩიტაშვილი, 1996 წლიდან 2007 წლამდე მღვდელი კახაბერ კურტანიძე, 2012 წლიდან 2023 წლამდე მღვდელი გიორგი ზაქარიაძე, 2002-2022 წლებში — დიაკვანი ელიოზ (მერაბ) ელიოზიშვილი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ეკლესიის კეთილმოწყობას დიდი ამაგი დასდო წინამძღვარმა ალექსანდრე გალდავამ: მოხატა ტაძრის კედლები, დაასრულა ეზოში არსებული შთაფლვით ნათლობის სანათლავი ავზი, რომელიც შადრევნის ფუნქციასაც ასრულებს და სხვა. მისი ხელმძღვანელობით **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძართან** 2012 წელს დაარსდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „თხილის გული", რომელშიც თანამშრომლობენ ქალბატონები: ნინო სუხიშვილი, მარინა სალუქვაძე, ნინო ჯუღელი, ეკა იოსელიანი, თამრიკო გაჩეჩილაძე. ორგანიზაცია ახორციელებს უპოვარი მოსახლეობის დაპურებას. დღეში 250 ადამინი მოდის უფასო სასადილოში, რომელსაც დედა ნისიმე ხურციძე ხელმძღვანელობს.

ტარდება კონცერტები. ქველმოქმედებას აქტიურად ეწევიან „სუხიშვილები", „ერისიონი", ბექა გოჩიაშვილი, ზაზა მარჯანიშვილი, ნიაზ დიასამიძე და სხვანი. სასადილოს დაფინანსება ძირითადად კონცერტების და საქველმოქმედო აუქციონების ხარჯზე ხდება. ასევე ყოველთვიური კერძო შემოწირულობებით. აღსანიშნავია, რომ ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილები" და ნიაზ დიასამიძემ, მუსიკა და ქორეოგრაფია გააერთიანეს. თავისი თანამშრომლობით შექმნეს ერთობლივი პროექტი - „33ა" და „სუხიშვილები". შემოსავალი კი მიუსაფარ მოხუცებს მოხმარდა. მოხალისე კურიერები პროდუქტის ადგილზე მიტანით ახარებენ იმ ადამიანებს, ვისაც ამის საჭიროება აქვს. ტაძრის ეზოში იმართება კონცერტები სხვადასხვა ჟანრში. სცენაზე ხშირად მურმან ჯინორიასაც იხილავთ.

ტაძართან არის უფასო ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტი, რომელსაც ბ-ნი დიმიტრი ნადირაშვილი და ქ-ნი თეა გოგოტიშვილი ხელმძღვანელობენ. ტაძართან არსებობს გალობის შემსწავლელთა

წრე, ხატწერის სახელოსნო, ვასილ კარბელაშვილის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „კენოზისი“, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „იცანი“, სადაც თანამშრომლობენ ქალბატონები: ნინო ციციშვილი, სალომე მაკარიძე და სხვები. 2022 წლის 10 ივნისს ჩატარდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების სცენარების კონკურსი, რომლის მიზანიც ნიჭიერი ახალგაზრდა სცენარისტების გამოვლენა იყო.

2022 წლის 25 დეკემბერს შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წელი. ამ საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა შემეცნებითი საღამოების ციკლი, რაც საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელშეწყობითა და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ,,იცანის" ორგანიზებით ჩატარდა. საღამოების მთავარი თემა იყო უწმინდესისა და უნეტარესის მოღვაწეობის პერიოდში შერაცხილი წმინდანების ცხოვრება და ღვაწლი.



№1. მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილ ალექსანდრე ყაზბეგს (№272) მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში აუგო წესი მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა [სეა, ფონდი 489, ანაწერი 7, საქმე №1751].

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი - მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი

(1888-1903)

სასულიერო სარბიელზე მოღვაწეობას მღვდელი ვასილ კარბელაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც უთავსებდა. **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** მუშაობის დროს, ის ჩაბმული იყო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობაში. ჩვენ კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ვასილ კარბელაშვილის არქივიდან და ეროვნული არქივის დოკუმენტებიდან მხოლოდ იმ საბუთებს გამოვიყენებთ, რომლებიც 1888-1903 წლების პერიოდს განეკუთვნება. მართალია, 1903 წელს ვასილ კარბელაშვილი უკვე დაითხოვეს **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიიდან,** მაგრამ სწორედ ამ წლით არის დათარიღებული ის მასალა, რომელიც მის დასჯას შეეხება.

ვასილ კარბელაშვილის ნამსახურობის სიიდან ვიგებთ, რომ მან 1889 წელს გახსნა სკოლა „მის მიერ გახსნილი იყო საეკლესიო სკოლა საავადმყოფოს თანამშრომლების შვილებისათვის...“ [კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, საქმე 20]. ამ საქმეში დიდი წვლილი მი-

უძღვით მთავარ ექიმ მარკ გოლბეკს და მის ქალიშვილ ანას. სკოლა ეგზარქოს პალადის განკარგულების საფუძველზე, 1889 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა. მომდევნო 1890 წელს, ვასილ კარბელაშვილი ნავთლუღის წმ. ბარბარე ეკლესიაში გადაიყვანეს. **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** იწვევენ ორ მღვდელს — ეგორ ჩეპოვალოვსა და ნესტორ მაჭაროვს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1745]. 1891 წელს, ვასილ კარბელაშვილი, მისივე თხოვნით, ხსენებულ ეკლესიაში დააბრუნეს. 1891 წელს კარბელაშვილთან ერთად რჩება მღვდელი ნესტორ მაჭაროვი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1747], რომელსაც კვლავ ვხვდებით 1901 წელს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1767]. დანარჩენ წლებში კარბელაშვილი მარტო უძღვება ეკლესიას, თუ არ ჩავთვლით 1898 წელს, მეტრიკულ წიგნში ერთიორჯერ დაფიქსირებულ მღვდელ ნიკოლოზ მანჩევსკის [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1762]. ზემოხსენებული ნამსახურობის სიიდან ასევე ვიგებთ, რომ საქართველოს ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს ვასილ კარბელაშვილისთვის 1893 წლის 22 ივნისს მადლობა გამოუცხადებია, ხოლო 1897 წლის 8 მაისს, უწმინდეს სინოდს ბეჯითი და სასარგებლო მოღვაწეობისათვის დაუჯილდოებია.

1893 წელს, ვასილ კარბელაშვილს მიხეილის საავადმყოფოს **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** სამრევლო სკოლის წლიური ანგარიში შეუდგენია, საიდანაც ჩანს, რომ **საავადმყოფოს ეკლესია** სკოლის შენობის საფასურის გარდა, სკოლის გალობის მასწავლებელის ხელფასსაც იხდიდა. აქვე ნათქვამია, რომ სკოლის მოსწავლეები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ეკლესიაში მოსვლას იმის გამო, რომ მოშორებით ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველა მოსწავლე ინახავდა დიდ მარხვას და შობის მარხვას, გალობდნენ ეკლესიაში. მათ ასწავლიდნენ, რომ მღვდელთან შეხვედრის დროს, თავი დაეკრათ, ქუდი მოეხადათ და მისულიყვნენ კურთხვის მისაღებად, ხოლო მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გავლის დროს, მოეხადათ ქუდი და პირჯვარი გადაეწერათ. მთავარ ექიმთან შეხვედრის დროსაც უნდა მოეხადათ ქუდი, დაეკრათ თავი და თვალებით გაეცილებინათ 16 ნაბიჯის მანძილზე, სახლში უნდა ელოცათ და სხვა [კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, საქმე № 17, გვ. 3].

სკოლა, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, დამწვარა. 1894 წლის 15 ივლისს, მღვდელი ვასილ კარბელაშვილი მოხსენებით ბარათს უგზავნის სინოდის პროკურორ ვ. კ. საბლერს, რომელსაც ეკლესიასთან არსებული სკოლის შენობის აღსადგენად 7000 მანეთს სთხოვს, ხოლო საავადმყოფოს ხელმძღვანელობის მხრიდან, 4000 მანეთის მიღების იმედი აქვს.

წმ. მიქაელ მთავარანგელოზის საეკლესიო მეტრიკული წიგნებიდან ვიგებთ, რომ ვასილ კარბელაშვილის მოღვაწეობის პერიოდში, თვითმკვლელებს „საავადმყოფოს სასაფლაოს გადაღმა" კრძალავდნენ (за больничным кладбищем). ასეთი შემთხვევები იყო შემდეგ წლებში: 1892 [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1749], 1895 [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1753], 1896 [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1758], 1897 [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1761], 1900 [სეა,ფ. 489, ან. 7, ს. 1766], 1901 [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1768], 1902 [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1769]. ამ საკითხზე იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება, რომ დღესაც გვხვდება სუიციდის შემთხვევები და ვფიქრობ, აუცილებელია ახალგაზრდებისათვის ასეთი ქმედების დაუშვებლობის ახსნა.

1902 წლის 30 დეკემბერს, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა გურიიდან ჩამოსული მასწავლებელი მოსე მეგრელიძე, რომელსაც 1903 წლის 2 იანვარს მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** აუგო წესი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1769] (სურ. №2) და მისი სამგლოვიარო პროცესია სადგურამდე მიაცილა. ეს შემთხვევა კარბელაშვილის ეკლესიიდან დათხოვნის და საქართველოდან გაძევების საბაბი გახდა. საქმე ის არის, რომ მოსე მეგრელიძე გურიაში მომხდარი აჯანყების მონაწილე და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მისი დაკრძალვა მანიფსტაციად გადაიქცა, რაც მღვდელ კარბელაშვილს დაბრალდა. დაიწყო გამოძიება. 3 იანვარს ის წერს პატაკს, რომელშიც საქართველოს ეგზარქოსს მოახსენებს, რომ საავადმყოფოში 1902 წლის 30 დეკემბერს გარდაცვლილი მოსე მეგრელიძის ახლობლებმა მოიწვიეს ის მიცვალებულის წესის ასაგებად და სადგურამდე გასაცილებლად, ვინაიდან მიცვალებული ქუთაისის გუბერნიაში უნდა გადაესვენებინათ. მოწვევის შესახებ ვასილ კარბელაშვილს გამოსვენებამდე ნახევარი საათით ადრე აცნობეს. ის დანიშნულ

დროზე გამოცხადდა **საავადმყოფოს სამლოცველოში.** მივიდნენ ნათესავები, დაჭედეს კუბო, გადაიხადეს პანაშვიდი, წაიმძღვარეს ხატი და გაემართნენ სადგურისაკენ. სადგურზე გასასვლელი დაკავებული ჰქონდათ ჟანდარმებს. მათ გაატარეს პროცესია პლატფორმაზე, სადაც ანალოგიურ შემთხვევებში, ვასილ კარბელაშვილის თქმით, საავადმყოფოში მისი მღვდელმსახურების 15 წლის განმავლობაში ყოველთვის ატარებდა ხოლმე პანაშვიდებს, სანამ კუბოს დანიშნულ ვაგონში მოათავსებდნენ. პირველივე საფეხურზე ის კინაღამ გათელეს და გაჭყლიტეს. მის უკან ბრბო კუბოთი მოიწევდა, წინ კი ჟანდარმები იდგნენ და არ უშვებდნენ. ერთ-ერთმა ჟანდარმმა, რომლის ამოცნობაც კარბელაშვილს შეეძლო, მას მკერდში მუშტი ჩაარტყა და უხეშად უთხრა: „აქ არ შეიძლება!" ვასილ კარბელაშვილმა უპასუხა, რომ ყოველთვის აქ იხდიდა პანაშვიდს და ჰკითხა, სად წასულიყო. ჟანდარმების ზურგს უკან მდგომმა პოლიცმეისტერმა „კბილების კრაჭუნით" უხეშად დაიყვირა: „იქით!" ხოლო გენერალმა, თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა (ვისი ვინაობაც კარბელაშვილმა შემდეგ შეიტყო) თქვა: „წადით იქით, რომ ცუდი არაფერი მოიწიოთ!" კარბელაშვილს განძრევა არ შეეძლო, ვინაიდან უკანა მხრიდან ბრბო მოიწევდა, წინ მდგომი ჟანდარმი კი მუშტებს ურტყამდა გულმკერდში. შედეგად, წაიქცა და დაეცა რკინიგზის ლიანდაგებზე, საიდანაც ის ჟანდარმა და თეთრ ჩოხაში გამოწყობილმა პიროვნებამ, სავარაუდოდ, „სერგო წერეთლის ნაცნობმა", ააყენეს. ბოლოს, სადგურის უფროსმა მიუთითა იმ ადგილზე, სადაც ნებადართული იყო პანაშვიდის გადახდა. პანაშვიდის დასრულებისთანავე ვასილ კარბელაშვილი თავისი სასულიერო წოდების მიმართ, ჟანდარმების მხრიდან ასეთი შეუფერებელი საქციელის გამო, პრეტენზიით მივიდა ჟანდარმერიის გენერალთან. ის განმარტავდა, რომ პანაშვიდის ჩასატარებელი ადგილის შეცვლის შესახებ არავის გაუფრთხილებია. გენერალმა ის ოქმის შესადგენად თავის სამმართველოში მიიწვია და ჩვენება ჩამოართვა. კარბელაშვილს სურდა მომხდარის შესახებ იმავე საღამოს პირადად მოეხსენებინა ეგზარქოსისთვის, მაგრამ არ მიიღეს. კარბელაშვილი ითხოვდა, რომ ეს საქმე არ დარჩენილიყო უყურადღებოდ, თავად კი დაცული ყოფილიყო დაუმსახურებელი

შეურაცხყოფისაგან [კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, საქმე 3, გვ. გვ.47, 47ა].

თუ ვასილ კარბელაშვილის მონათხრობით ვიმსჯელებთ, მისი ბრალეულობა არ იკვეთება. ვერც იმას დავამტკიცებთ, რომ მას ორგანიზაციული კავშირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელიც აღწერილი შემთხვევიდან სულ რამდენიმე თვეში ბოლშვიკებად და მენშევიკებად დაიყო. თანაც, როგორც კარბელაშვილი თავის ერთ-ერთ განცხადებაში სვამს კითხვას, რა საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა მას, ტფილისის გუბერნიაში დაბადებულსა და ტფილისშივე აღზრდილს, მეგრელიძესთან, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში, გურიაში, დაიბადა [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. 167, ფ. 52]. რუსმა რეაქციონერმა სასულიერო იერარქებმა დემონსტრაციაზე მთელი პასუხისმგებლობა ვასილ კარბელაშვილს დააკისრეს, რადგან მათთვის საშიშ ადამიანად თვლიდნენ და არცთუ უმიზეზოდ. ვასილ კარბელაშვილი იყო აქტიური ავტოკეფალისტი, იბრძოდა ქართული ენის დასაცავად. აქედან გამომდინარე, ცხადია, თანაუგრძნობდა დემონსტრანტებს, რადგან მათი პროტესტი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1903 წლის 5 იანვარს, გენერალ-მაიორმა ფრეზემ, მოსე მეგრელიძის ცხედრის გადასვენებასთან დაკავშირებით, ტფილისში ჩატარებული დემონსტრაციის შესახებ, მთავარმმართებელს დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო: 2 იანვარს ტფილისში არეულობა იმ მიზეზით მოხდა, რომ ტფილისში მიხეილის საავადმყოფოში მოკვდა ძიმითის ორკლასიანი სასწავლებლის გურული მასწავლებელი მოსე მეგრელიძე, რომელიც გასულ ზაფხულს დაკავებული იყო ამ მაზრაში მომხდარი მღელვარების მთავარ ხელმძღვანელებთან ერთად. ტფილისის გუბერნატორმა, რომელსაც არ ჰქონდა ინფორმაცია მანიფესტაციის შესახებ, გარდაცვლილის ქვრივის თხოვნით, 31 დეკემბერს ნებართვა გასცა გვამის სამშობლოში გადასვენების თაობაზე. 2 იანვარს, დილით, ტფილისში მეგრელიძის დაკრძალვასთან დაკავშირებით, მიმოფანტული აღმოჩნდა პროკლამაციები ქართულ და რუსულ ენებზე, რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტფილისის კომიტეტის ხელმოწერით. შემდეგ, დღის 4 საათზე დამკრძალავი პროცესია, რომელსაც საავადმყოფოს

მღვდელი კარბელოვი მიუძღვოდა, წინასწარი განზრახვით, პოლიციის საიდუმლო მითითებების საწინააღმდეგოდ, ანელებდა სვლას. საავადმყოფოდან სადგურისაკენ დაახლოებით 500 კაციანი ბრბო გაემართა, რომელიც სადგურზე გაიზარდა. ამასთან, ვარდისფერი ლენტებიანი სამი გვირგვინით მორთული (სხვა დოკუმენტიდან ჩანს, რომ ლენტები წითელი იყო — მ. ხ.) კუბო, მთელი ვერსტნახევარი გზის მანძილზე ქალებს მიჰქონდათ. საღამოს რვა საათზე, პროცესია მივიდა სადგურზე, სადაც ბრბოს დიდმა ნაწილმა, რომელიც არ იქნა შეშვებული რკინიგზის ღობის იქით, პლატფორმაზე დაიწყო საპროტესტო მოქმედებები. პოლიცმეისტერის შეგონების საპასუხოდ, პოლიციელებს წინასწარ მომზადებული რიყის ქვების სროლა დაუწყეს და ერთ-ერთ მათგანს სახეზე მიაყენეს დაზიანება. პოლიცია იძულებული გახდა, ბრბოს დაშლის მიზნით, ქარქაშიანი ხიშტებით (шашками в ножнах) შეეტია, შემდეგ ცხენოსანი „სტრაჟნიკები" შეუსია და გაფანტა ბრბო. ამასობაში, მატარებელი სამგლოვიარო ვაგონით წავიდა. ქუთაისის გუბერნატორი გაფრთხილებული იყო [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. 167, ფ. 1ა]. დეპაშაში გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე მიუთითებდა ვასილ კარბელაშვილის აქტიურობაზე, რომლის შესახებ მას ჯერ კიდევ მეგრელიძის ინციდენტამდე, ტფილისის გუბერნატორისგან მიღებული ჰქონდა საიდუმლო დაზვერვის მასალები [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. 167, ფ. 22]. ამ მიწერილობიდან კარგად სჩანს, თუ რატომ მიიჩნევდნენ ვასილ კარბელაშვილს ხელისუფლებისთვის საშიშ პიროვნებად: „მღვდლები ვასილ და პოლიევკტოს კარბელოვები მსახურობენ ტფილისში, პირველი **საავადმყოფოს ეკლესიაში,** მეორე — ანჩისხატის ტაძარში. ცნობილი არიან როგორც რუსოფობები და საქართველოში რუსული საქმის გაბოროტებული მტრები. ვასილ კარბელოვმა 1898 წელს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში გალობის მასწავლებლად მუშაობისას, გამოიყენა ქართული სამღვდელების მისამართით შემთხვევით, თუმცა სამართლიანად ნათქვამი საძრახისი სიტყვები. ერთი ამბავი ატეხა და სემინარიის მასწავლებელ ნედელსკის სასამართლოში უჩივლა. სამუშაო ადგილის გარეშე დარჩენილმა, მიიღო საქართველოს ეგზარქოსი ფლავიანეს ბრძანება, რომ შეეწყვიტა სასამართლო პროცესი, მაგრამ არათუ არ დაემორჩილა, მოიწვია ადვოკატები და

ათიოდე ქართველი მღვდლისა და სხვა ქართველი პოლიტიკანების თანხლებით გამოცხადდა სამომრიგებლო სასამართლოში, სადაც საქმე გააბუქა. საქმე დასრულდა რამდენიმე მანეთის ოდენობის ჯარიმის დაკისრებით კარბელოვის სასარგებლოდ, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაწყნარდა და თავისი მოღვაწეობა განავრცო უცხოურ ჟურნლში „Православный Восток", რომელიც ბუქარესტში გამოიცემა და გამოირჩევა განსაკუთრებული გაბოროტებით რუსული ეკლესიის მიმართ. 1902 წლის განმავლობაში ძმებ კარბელოვებს ამ ჟურნალის მხოლოდ რამდენიმე ნომერში თუ არ მოუთავსებიათ თავიანთი ბინძური ინსინუაციები. მათ მიერ გამუდმებით იხსენიებოდა ნედელსკი, ჭუჭყს სცხებდნენ და აშავებდნენ საქართველოს ეგზარქოსს, მთელ რუსულ მმართველობას საქართველოში, ყველა რუს მოღვაწეს, განსაკუთრებით კი ახალ რუსულ მიმართულებას საეგზარქოსოს საეკლესიო სკოლებში. მიმართავდნენ ყოველგვარ ცილისწამებასა და ინსინუაციებს. ძმები კარბელოვები ქ. ტფილისში მუშაობდნენ ჟურნალის გამავრცელებელ აგენტებად, თავიანთი თანამოაზრე ეპისკოპოსი კირიონის მფარველობით, რომელიც ამჟამად მოშორებულია შიდა რუსეთში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ, მიტროპოლიტ ანტონთან და საქართველოს ეგზარქოსთან საუბრისას, ეპისკოპოსი კირიონის შესახებ ასე სთქვა: „მას არ ერიდებოდა საზოგადოების ნაძირლებთან ნაცნობობის, რკინიგზის მუშებთანაც კი" (Он не гнушался знаться с подонками общества, даже с железнодарожными рабочими). მათთან ურთიერთობის შუამავლებად მხოლოდ ძმები კარბელოვები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. მართლაც, რკინიგზის მუშებისგან ეგზარქოსმა მიიღო მუქარის წერილი. ემუქრებოდნენ მოკვლით იმის გამო, რომ ღვთისმსახურებაში, თითქოსდა, ირღვეოდა ქართული ენის უფლებები. ეს ყოველივე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო კარბელოვების მეშვეობით, რომლებიც არიან ყველაზე საშიში ადამიანები ქართველ სამღვდელოებს შორის და რომელთა მსახურებისთვის, ყოველ შემთხვევაში, ტფილისში ადგილი არ არის [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. 167, ფ. 22, 22ა] (სურ. №3 და №4).

დოკუმენტში, როგორც ვხედავთ, ვასილ კარბელაშვილთან ერთად, მისი ძმა პოლიევკტიც არის დაბეზღებული. ნაჩვენებია მათი

თანამშრომლობა ანტიიმპერიული სულისკვეთების ჟურნალთან, რომელიც ბუქარესტში გამოიცემოდა და საქართველოში მისი გავრცელებისთვის ხელშეწყობა. სრულად არის გადმოცემული ვასილ კარბელაშვილსა და სემინარიის მასწავლებელ ნედელსკის შორის მომხდარი კონფლიქტის არსი. ვიგებთ, რომ ვასილ კარბელაშვილს არავითარი პირადი მოტივები არ ჰქონია დავის წამოსაწყებად. ის ყოველივე ქართულის შურაცხყოფის წინააღმდეგ იბრძოდა და თავს საფრთხეში იგდებდა. საიდუმლო მიწერილობაში საუბარია ეპისკოპოს კირიონზე, როგორც ხელისუფლებისთვის საშიშ პიროვნებასა და ძმები კარბელაშვილების თანამზრახველზე. დოკუმენტში ნათქვამია, თითქოსდა, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე ეგზარქოსთან ასმენდა კირიონს. რა შეიძლება ამის თაობაზე ითქვას? ცნობილია ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის ღვაწლი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის საფუძვლის მომზადებასა და XX საუკუნის დამდეგისათვის, ამ მიზნის განხორციელებაში, მისი შეუპოვარი ბრძოლა ეკლესიის რუსიფიკატორთა წინააღმდეგ. ამ საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას არ დავიმოწმებთ, რადგან სცილდება ჩვენს თემას. დავუბრუნდეთ საიდუმლო მიწერილობას. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ეპისკოპოსი ლეონიდე თავად არ საუბრობს. მის სიტყვებს სხვა გადმოგვცემს. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია. მკვლევარი სოფიო ანდღულაძე ამ საჩოთირო ეპიზოდს არ ეხება, მაგრამ ეპისკოპოს ლეონიდესა და ვასილ კარბელაშვილის ერთობლივი თანამშრომლობის საილუსტრაციოდ იმოწმებს ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ, 1908 წლის 4 ნოემბრს, ვასილ კარბელაშვილისადმი მიწერილ წერილს, რომელშიც ის ვასილ კარბელაშვილს სთხოვს მონაწილეობა მიიღოს მისი ბიძის, ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) „გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით აღსავლენ წირვაში შიო-მღვიმის მონასტერში". იქ მათ საშუალება მიეცემოდათ „ბევრ რამეზე მოეჭუკჭუკებინათ გულდასმით" [სოფიო ანდღულაძე, „ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი)", თბ., 2006, გვ. 133].

ამავე დროს, მკვლევრებმა უკვე ნელ-ნელა დაიწყეს იმის აღიარება, რომ არქივებში ხშირად მოულოდნელი და არასასიამოვნო

სიურპრიზები გვხვდება. ზოგ ცნობილ და ღვაწლმოსილ სასულიერო თუ საერო პირს, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოუხერხებია დარჩენილიყო უკომპრომისო და ზნესრული.

კიდევ ერთ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალზე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. კუბო მთელი „ვერსტნახევარი" გზის მანძილზე ქალებს მიჰქონდათ. სავარაუდოდ, ეს ქალბატონები გურიიდან იქნებოდნენ ჩამოსული. უნებლიედ მახსენდება, რომ ამ შემთხვევამდე 4 წლით ადრე, ოზურგეთში 25 წლის ელენე გურიელი გარდაიცვალა, რომლის გასვენებას უამრავი ხალხი დაესწრო: „შემდეგ კუბო ხელში აიღო თორმეტმა ქალიშვილმა და ქალაქის შუა ადგილამდის მიასვენა" [„წერილი ოზურგეთიდან", გაზ. „ივერია", 1899, №219]. რასაკვირველია, ანალოგია ზუსტი არ არის. შესაძლოა, ახალგაზრდა ქალიშვილების დაკრძალვის მსგავსი ტრადიცია არსებობდა, რაც მამაკაცებზე არ უნდა გავრცელებულიყო, მაგრამ ეს უცნაური ფაქტი ნამდვილად მოხდა და ალბათ, ახსნაც მოეძებნება.

ზემოთ მოყვანილი საიდუმლო მიწერილობის გაცნობის შემდეგ, თავისთავად ცხადი ხდება, რომ ვასილ კარბელაშვილს თბილისში აღარ გააჩერებდნენ. მართლაც, ბლაღოჩინ დეკანოზ შოშიევს უცნობებია მისთვის, რომ ეგზარქოსის რეზოლუციით გადაყვანილი იყო შემახის მაზრაში. ვასილ კარბელაშვილი თვლიდა რა თავს შეურაცხყოფილად და უდანაშაულოდ დასჯილად, ტელეგრაფის მეშვეობით იმპერატორისთვის მიუმართავს თხოვნით, რომ მკაცრი გამოძიების ჩატარების გზით, საქმისა და მისი უდანაშაულობის გარკვევამდე, ადგილზე დაეტოვებინათ [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. 167] (სურ. №5). იმავე თხოვნთ მიმართა დიდ მთავარ მიხეილ ნოკოლოზის ძეს, აგრეთვე სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის — უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს. 1903 წლის 10 თებერვალს, კარბელაშვილი წერილით მიმართავს ეგზარქოსს და თავისი გადაყვანის საკითხის დროებით შეჩერებას სთხოვს [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. 167, ფ. 49]. მისი საქმე კიდევ უფრო რთულდება. მეორე დღესვე, 1903 წლის 11 თებერვალს, მთავარმმართველის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში იღებს საიდუმლო მიწერილობას, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ვასილ კარბელაშვილი სულ აგენტების

თვალთახედვის არეში იყო. კერძოდ, მიწერილობაში მის შესახებ ნათქვამია: „...მივიღე რა აგენტურული გზით ცნობები (თან ერთვის) ამ მღვდლის საერთოდ მავნე ანტისამთავრობო და რუსოფობურ მოღვაწეობაზე, 24 იანვარს, მე ვაცნობე (№74) ამის შესახებ საქართველოს ეგზარქოსს, გამოვთქვი აზრი, რომ ამ სასულიერო პირის ტფილისის გუბერნიაში ყოფნა უკიდურესად არასასურველად მიმაჩნია" [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. №167, ფ. 25].

1903 წლის 21 მარტს ვასილ კარბელაშვილმა კვლავ წერილობით მიმართა ეგზარქოსს. თავის პატაკში სთხოვს ეგზარქოსს, რომ მისი (კარბელაშვილის) თანდასწრებით, ფიცის ქვეშ დაკითხონ მოწმეები რომელთა შორის არცთუ ცოტაა პოლიციელი და გამოარკვიონ მისი უდანაშაულობა. „ეს ყოველივე ცნობილი ქველმოქმედის, ბ-ნი პეტროპავლოვსკის წყალობით ხდება, რომელიც 1885 წლიდან სულ უსიამოვნებებს მიწყობს ჭეშმარიტების და სიმართლის მტრებთან ერთად. ისინი გაისარჯნენ ჩემს ამ საქმეში („и это благодаря известному благотворителью Г-ну Петропавловскому, который с 1885 г. Все стройт мне неприятности с врагами истины и правды. Они же удружили мне в сем деле") [სეა, ფ. 12, ან. 16, ს. 167]. როგორც ვხედავთ, დასახელებულია კონკრეტული პირი. „პეტროპავლოვსკის" პეტრე-პავლეს ეკლსიის წინამძღვარს უწოდებდნენ ხოლმე, მაგრამ აღნიშნულ დროს ავლაბრის პეტრე-პავლეს ეკლესიის წინამძღოლი დეკანოზი ზაქარია გრძელიევი იყო [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 141], რომლის კარბელაშვილთან დაპირისპირების შესახებ არაფერია ცნობილი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვასილ კარბელაშვილი თავის მტერს მოიხსენიებს როგორც საერო პირს, ბატონს. კარბელაშვილი გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ ეგზარქოსმა არ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ იყო მისული. „ვინ იყო მღვდელი ორ იანვარს, რუსი თუ ქართველი?" — კითხულობდა ეგზარქოსის სახელით საეკლესიო მსახური მიხეილ ალექსის ძე, რომელიც გამოვიდა ეგზარქოსის მისაღებიდან და კარბელაშვილს გამოუცხადა, რომ ის არ იქნებოდა მიღებული.

ეს უკვე საბოლოო პასუხი იყო. ამის შემდეგ მღვდელი ვასილ კარბელაშვილი შემახაში გადაიყვანეს, საიდანაც განაგრძო

ბრძოლა საქართველოში დასაბრუნებლად. მის მიერ დაწერილ თხოვნებში მეორდება მოსე მეგრელიძის დაკრძალვასთან დაკავშირებული ისტორია, რასაც აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ ერთ თხოვნას დავიმოწმებთ, რადგან მასში ეგზარქოსის სიტყვებია მოყვანილი. ვასილ კარბელაშვილი სამოქალაქო ნაწილში კავკასიის მთავარმმართველს, გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ გოლიცინს სწერს, რომ ეგზარქოსმა დაიბარა და ბენიამინის, დიმიტრის და თავისი კანცელარიის ყოფილი მმართველის თანდასწრებით გამოუცხადა: „მე თქვენ თავადი გოლიცინის განკარგულებით გადამყავხართ. ის პეტერბურგიდან მწერს, რომ ტფილისის გუბერნიიდან მოგაშოროთ, ვინაიდან თქვენი აზროვნებით და ქმედებებით აუტანელი ხართ". ამასთან, ეგზარქოსმა დაუმატა: „გადამყავხართ ბაქოში, რადგან აუტანელი ხართ!" [კ. კეკელიძის სახ. ეროვნული ხელნაწერების ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, დოკუმენტი 4]. ამ ამონარიდებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ვასილ კარბელაშვილს მხოლოდ რუსი სასულიერო პირები როდი ემტერებოდნენ. ის სახელმწიფოსთვის საშიშ პიროვნებად მიიჩნეოდა. მისი დევნა-შევიწროება შემახაშიც გაგრძელდა, თუმცა მან ერთ წელიწადში საქართველოში დაბრუნება მოახერხა. 1903 წლის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს არ განვიხილავთ, რადგან ეს პერიოდი სცილდება ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს.



№2. მოსე მეგრელიძეს1903 წლის 2 იანვარს მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში აუგო წესი[სეა, ფონდი 489, ანაწერი 7, საქმე №1769].



22

Священники, Василій и Даніилъ Карбеловы, оба служащіе въ Тифлисѣ, первый при больничной церкви, второй при Ачмиатскомъ соборѣ, извѣстны, какъ ярые русофобы и озлобленные враги русскаго дѣла въ Грузіи.

Василій Карбеловъ въ 1898 г., служа учителемъ пѣнія въ Тифлисской Духовной Семинаріи, допустилъ случайно сорванныя имъ недобрыя нелицемѣрныя слова, хотя и вполнѣ справедливыя, по адресу грузинскаго духовенства, поднялъ грязную исторію и затѣялъ судъ съ преподавателемъ Семинаріи, Назарьянцемъ. Лишенный мѣста, получивъ приказаніе объ выѣздѣ изъ Грузіи, фиславъ, прекратить соблазнительную тяжбу, онъ тѣмъ не менѣе и послушался никого, пригласилъ адвокатовъ и въ сопровожденіи десятка грузинскихъ священниковъ и другихъ представителей грузинскихъ политикановъ, явился въ мировой судъ и разрѣшилъ дѣло доносомъ. Дѣло окончилось присужденіемъ штрафа въ нѣсколько рублей въ пользу Карбелова, но послѣдній не успокоился и перенесъ свою утѣсненность въ заграничный журналъ „Православной Россіи", издаваемый въ Бухарестѣ и отличающійся особенно злобою противъ русской церкви. Въ теченіи 1902 г. въ редакціи Х-ра этого журнала оба брата Карбеловы не пропускали своихъ грязныхъ инсинуацій. постоянно

National Archives of Georgia

№3. ამონარიდი საიდუმლო მიწერილობიდან [სეა, ფონდი 12, ანაწერი 16, საქმე №167, ფ. 22].

упоминается имя Недѣльной, грязнившей и перенесшей Экзархъ Грузіи, все русское управленіе въ Грузіи, всѣхъ русскихъ дѣятелей, особенно новое русское направленіе въ церковныхъ кругахъ Экзархата. Невообразимыя клеветы, и инсинуаціи пускались въ ходъ; братья Карбеловы служили два г. Тифлиса агентами въ распространеніи журнала, подъ покровительствомъ ихъ единомышленника, Епископа Киріона, изгнаннаго во внутреннюю Россію. Къ этому нужно сказать, что Императорскій Епископъ Леонидъ въ бесѣдѣ съ Митрополитомъ Антоніемъ Экзархомъ Грузіи выразился о Еп. Киріонѣ такъ: „онъ не гнушался заняться съ подонками общества, даже съ злостнодорогими рабочими." Посредниками для сношеній съ нимъ могли служить для Епископа Киріона только братья Карбеловы. Это свидѣтельство, отъ всѣхъ уважаемыхъ рабочихъ Экзархъ получилъ угрожающее письмо съ угрозою смертью, по примѣру Недѣльной, по поводу якобы нарушенія правъ грузинскаго языка въ богослуженіи. Все это могло идти отъ рукъ чрезъ Карбеловыхъ, которые оба явились отъ лучшихъ людей среди грузинскаго духовенства и которые служатъ въ Тифлисѣ во всѣхъ службы не мѣста

National Archives of Georgia

№4. ამონარიდი საიდუმლო მიწერილობიდან. გაგრძელება [სეა, ფონდი 12, ანაერი 16, საქმე №167, ფ. 22ა].

Копія.

29

ЕГО ВЫСОКОПРЕОСВЯЩЕНСТВУ,

Святѣйшаго Правительствующаго Синода Члену, Высокопреосвященнѣйшему Алексію, Экзарху Грузіи, Архіепископу Карталинскому и Кахетинскому

Священника больничной церкви
Василія Карбелова

Рапортъ.

Сегодня въ два часа по полудни получилъ сообщеніе отъ благочиннаго Протіерея Шошіева, по которому резолюціею Вашего Высокопреосвященства ради пользы службы я переведенъ къ Шемахинской церкви. Такъ какъ я считаю себя оскорбленнымъ и безъ вины наказаннымъ, то по телеграфу я всеподданнѣйше ЕГО ИМПЕРАТОРСКОМУ ВЕЛИЧЕСТВУ просилъ ГОСУДАРЯ ИМПЕРАТОРА повелѣть оставить меня на мѣстѣ до выясненія - путемъ строжайшаго разслѣдованія - моей невиновности. По этому всепокорнѣйше прошу Ваше Высокопреосвященство дѣло моего перемѣщенія оставить открытымъ до поры. Подлинный подписалъ Больничный священникъ Василій Карбеловъ. 1903 года 10 Февраля.

Съ подлиннымъ вѣрно: Правитель Канцеляріи
Экзарха Грузіи

National Archives of Georgia

№5. მღვდელი ვასილ კარბელაშვილის მოხსენებითი ბარათი [სეა, ფონდი 12, ანაწერი 16, საქმე №167].

ფიროსმანს (1866-1918) წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლსიაში აუგეს წესი



ნიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალების უშუალო მოწმე არ არსებობს. გიორგი ლეონიძის წყალობით, ჩვენამდე მოაღწია მხატვრის მეზობლის, არჩილ მაისურაძის მოგონებებმა, რომელმაც მომაკვდავი ნიკალა სახლის სარდაფში იპოვა. ა. მაისურაძის იგონებდა: „ჩასულიყო სარდაფში, ნესტიანსა და ბნელ იატაკზე დაწოლილიყო. ორი-სამი დღის შემდეგ ჩავედი და დიდ სიბნელეში წავაწყდი მას. კვნესოდა მწარედ. მე ვერ ვიცანი და შევძახე: ვინ ხარ მეთქი! - მე ვარო და მაშინვე ხმაზე ვიცანი ნიკალაი. მან კი ვეღარ მიცნო. მხოლოდ მითხრა, ცუდად გავხდიო. მე მაშინვე ფაიტონი მოვიყვანე. რაკი მე არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა განსვენებული ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და წაიყვანა არამიანცის საავადმყოფოში. ნამდვილად აღარ ვიცი მართლა იქ მიიყვანა, თუ მიხეილის საავადმყოფოში. ეს კია, რომ კაცი დღენახევარში გათავდა... ჩემი აზრით, ნიკალაი უსათუოდ უნდა იყოს დამარხული პეტრე-პავლეს ქართველთა სასაფლაოზე“ [გ. ლეონიძე, „ფიროსმანის უკანასკნელი დღე'', გაზ. „ბახტრიონი'', 1922 წ., №8]. იგივე ამბავი გიორგი ლეონიძეს აღწერილი აქვს ჟურნალ „მნათობში“. გ.

ლეონიძე სვამს კითხვას „რომელ წელს გარდაიცვალა ფიროსმანი? არჩილ მაისურაძემ დაბეჯითებით გადმომცა, რომ ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა ღამეს. მისი სიტყვებით და მრავალთა დამოწმებით, ფიროსმანი დამარხულია უპატრონო მკვდართა შორის კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე" [გ. ლეონიძე, „ცხოვრება ფიროსმანისა" ჟურნ. „მნათობი" 1931 წ., №3, გვ. 218]. როგორც ვხედავთ, ამ მოგონებებში უტყუარი ის უნდა იყოს, რომ მომაკვდავი მხატვარი 1918 წლის აღდგომის წინ გადაიყვანეს საავადმყოფოში.

გაზეთ „ბახტრიონის" 1922 წლის მე-8 ნომერში ვკითხულობთ: „რედაქციამ შეკითხვით მიჰმართა ყოფ. არამიანცის და მიხეილის საავადმყოფოს თუ რა რიცხვში და რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიკო ფიროსმანი". როგორც ჩანს, დასახელებულმა საავადმყოფოებმა ვერ შეძლეს პასუხის გაცემა და ეს გასაგებიც არის: თუ საავადმყოფოში მიყვანილ ნიკალას თან არავინ შეჰყვა, ან შეჰყვა და მაშინვე გაეცალა იქაურობას, მომაკვდავი ისე იყო დაუძლურებული, რომ თავად ვერ ჩააწერინებდა თავის ვინაობას.

ლადო გუდიაშვილი წერდა: „ნიკომ თავისი წუთისოფელი სადღაც დიდუბის მიგდებულ ადგილებში დალია, მაგრამ როდის მოკვდა, რა პირობებში, ვინ დამარხა ეს არავინ იცის. გადმოგვცემენ, რომ იგი კუკიის სასაფლაოზეა დაკრძლულიო, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის..." [ლ. გუდიაშვილი, „ნიკო ფიროსმანი", გაზ. „ბახტრიონი", 1922 წ., №11].

ეგნატე მენთეშაშვილი იგონებდა: „სიკვდილის წელს ვგონებ რომ ორმოცდაათს გადაცილებული იყო. სამი დღე უპატრონოდ გდებულიყო ნაგავში. როცა „სწრაფი დახმარების" ეტლში ჩასვეს მან სთქვა „ხორველა მჭირსო". დამარხული უნდა იყოს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. არავინ მის კუბოს არ გაჰყოლია. მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა და საავადმყოფოშივე დაიმარხა. ყველაზე უკეთესად და დაწვრილებით მისი ამბავი იცოდა განსვენებულმა ილია მგალობლიშვილმა [ე. მენთეშაშვილი, „ნიკო ფიროსმანი". მასალები ბიოგრაფიისათვის", გაზ. „ბახტრიონი", 1922 წ., №17].

1919 წელს დავით კაკაბაძე წერდა: „ამბობენ ერთი წელიწადია,

რაც ფიროსმანი მიიცვალა, მაგრამ სად ან როგორ არ ვიცით" [დ. კაკაბაძე, ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა ტფილისში, 1919 წ., მაისი, ჟურნ., „შვიდი მნათობი", 1919 წ. №2].

1938 წელს, ფიროსმანის გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში, ვლადიმერ ქიქოძე ძირითადად მაისურაძის მონათხრობს იმეორებს, მაგრამ ფიროსმანის გარდაცვალების თარიღს გვაწვდის: „სიკვდილის წინ ავადმყოფი ფიროსმანაშვილი ჩასულა აშმორებულ, თუნუქის ნაჭრებით სავსე სარდაფში, აქ სამი დღე გაუტარებია. სარდაფში შემთხვევით ჩასულ მაისურაძეს უნახავს ავადმყოფი ნიკო, ჩაუსვამს ეტლში და არამიანცის საავადმყოფოში გადაუყვანია. ორი დღის შემდეგ ფიროსმანაშვილი მომკვდარა საავადმყოფოში **(1918 წლის 4 მაისს).** ნიკოს გვამი მის მეგობრებს დაუსაფლავებიათ კუკიის სასაფლაოზე. ამის შესახებ ქართველ მხატვართა საზოგადოებას არაფერი სცოდნია. ამიტომ, სამწუხაროდ, დღესაც გამოურკვეველია, თუ სად მარხია იგი." [ვ. ქიქოძე, „ნიკო ფიროსმანაშვილი. გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო", გაზ. „კომუნისტი", 6 მაისი 1938 წ., №102]. რამდენიმე წლის წინ პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა იოსებ იმედაშვილის გამოუქვეყნებელი ბიოგრაფიული ლექსიკონი, რომელშიც ფიროსმანის გარდაცვალების ზუსტი თარიღია მითითებული — **1918 წლის 4 მაისი.**

1967 წელს გამოქვეყნდა ვასო ჩაჩანიძის მოგონებანი. ის დარწმუნებული იყო, რომ ბავშვობაში ფიროსმანის დაკრძალვის მოწმე და მონაწილე გახდა [ვ. ჩაჩანიძე, „მოგონებანი ნიკო ფიროსმანზე", „მნათობი" 1967 წ. №9]. მისი მოგონების ხელაღებით უარყოფა არ შემეძლო (სანამ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მის მიერ მითითებული ადგილი არ გაითხრებოდა), თუმცა შეუსაბამობანი ადრეც აღვნიშნე [მ. ხომერიკი, „ფიროსმანზე და არა მხოლოდ", თბ., 2017; მ. ხომერიკი, „ფიროსმანის დაბადების და დაკრძალვის მისტერია", თბ., 2023], რასაც ქვემოთ განვიხილავთ. მოგვიანებით, ნიკალას მეზობლების, ნესტორ და სოფიო შავგულიძეების შვილმა, ოთარ შავგულიძემ ჟურნალისტ ნელი კობიაშვილს თავისი მოგონებები ჩააწერინა. ის აღწერილი მოვლენების უშუალო

მოწმე არ ყოფილა, მაგრამ თავისი მშობლების მონათხრობს იხსენებდა. როდესაც ნიკალა ცუდად გამხდარა, სოფო შავგულიძე გაქცეულა ქმართან რკინიგზის სადგურზე, სადაც ის მუშობდა. ოთარ შავგულიძის თქმით, სოფიო იხსნებდა, რომ ნესტორს „ეტლი რომ არ იყო, საავადმყოფოში გაუშვია ოთხთვალა, რომელიც ამ დროს მალაკნების ბაზრიდან მოდიოდა. წაიყვანესო „არამიანცის" საავადმყოფოში. ორი-სამი დღის შემდეგ მივაკითხე და უკვე აღარ იყო, გარდაიცვალაო, მითხრეს და ამით დამთავრდა ყველაფერი" [ნ. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს", თბ., 2004, გვ. 62]. თუ ნიკალას საავადმყოფოში არავინ მიჰყვა, უფრო სწორად, მიიყვანეს და დატოვეს, ვის უნდა სცოდნოდა მისი სახელი? დღეს საავადმყოფოს წიგნი აღარ არსებობს, მაგრამ თავის დროზე საავადმყოფოებმა ხომ ვერ გასცეს პასუხი „ბახტრიონის" რედაქციას, რადგან მათ ჩანაწერებში ნიკო ფიროსმანაშვილი დაფიქსირებული არ იყო. საინტერესოა, როგორ გასცეს მათ პასუხი შავგულიძეებს? ჩანაწერების მიხედვით? გამორიცხულია! მათ შეეძლოთ შავგულიძეები პროზექტურაში ჩაეყვანათ, უცნობი მიცვალებული ამოსაცნობად ეჩვენებინათ, მაგრამ მოგონებებში მსგავსი ინფორმაცია არ არის. და თანაც, „არამიანცის" საავადმყოფოში გარდაცვლილ უპატრონოებს ორ-სამ დღეში არ კრძალავდნენ. თუ შავგულიძეებმა მართლა ორ-სამ დღეში შეიწუხეს თავი და საავადმყოფოში მივიდნენ, ნიკალა ჯერ დაკრძალულიც არ იქნებოდა. ან, თუ მისი გარდაცვალება შეიტყვეს, ისიც უნდა ეკითხათ, თუ სად დაკრძალეს იგი და მეზობლებისთვის მაინც გაეგებინებინათ. ოთარ შავგულიძის მოგონებები სარწმუნოდ არ მიმაჩნია.

ფიროსმანის გარდაცვალების და დაკრძლვის 3 ძირითადი ვერსია დამკვიდრდა: ვასო ჩაჩანიძისეული, ნელი კობიაშვილისეული და ერეკლე ლუკაშვილისეული. ამას 2003 წლიდან დაემატა ჩემი, ანუ მანანა ხომერიკისეული ვერსია.

პირველი ვერსიის თანახმად, ფიროსმანი 1918 წელს, აღდგომამდე ორი კვირით ადრე, „არამიანცის" საავადმყოფოში გარდაიცვალა და დაკრძალეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. მეორე ვერსია, ძირითადად, პირველზე იყო დაფუძნებული, მხოლოდ ფიროსმანი

1919 წელს გარდაცვლილად ცხადდებოდა. დამოწმებული იყო პეტრე-პავლეს ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ 1919 წლის 14 მარტს, ხსენებულ ეკლესიაში წესი აუგეს 23 თებერვალს გარდაცვლილ ვინმე „უცნობ ნიკოლოზს". ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, ნ. კობიაშვილი „უცნობი ნიკოლოზის" საფლავს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ვ. ჩაჩანიძის მიერ მითითებულ ადგილზე ვარაუდობდა, მაგრამ იმავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს მიცვალებული ნავთლუღის სასაფლაოზე დაკრძალეს. მიუხედავად ამისა, ნ. კობიაშვილის ვერსიას თავისი მხარდამჭერები გამოუჩნდნენ, რაც დაწვრილებით მაქვს განხილული ჩემს ნაშრომებში [მ. ხომერიკი, „ფიროსმანზე და არა მხოლოდ...", თბ., 2017; მ. ხომერიკი, „ფიროსმანის დაბადების და გარდაცვალების მისტერია", თბ., 2023]. ამჯერად, აღარ გავიმეორებ, რადგან 2015 წელს, მერიამ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გათხარა ვ. ჩაჩანიძის და ნ. კობიაშვილის ვერსიებში მითითებული ადგილი, რომელიც, როგორც ვვარაუდობდი, ცარიელი აღმოჩნდა.

განვიხილოთ ერეკლე ლუკაშვილის ვერსია. 1969 წელს ერეკლე ლუკაშვილმა გამოაქვეყნა საგაზეთო წერილი, რომელიც ფიროსმანის გარდაცვალებას შეეხებოდა [И. Лукашвили, "Последний день Пиросмани", газ. "Вечерний Тбилиси", 1969 г., 24 мая]. ამავე დროს, არქივში შემონახულია მისი ხელნაწერი. ავტორი წერს: „1918 წლის 7 აპრილს / ძვ. სტილით 25 მარტს. ე. ლ./ მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს გრძნობა დაკარგული უცნობი ვინაობის მამაკაცი, შესახედად 60 წლისა, ღატაკი ვინმე. მომაკვდავი მიიყვანა ეტლით მილიციონერმა ივანე ჩანადირაძემ, რომელმაც განაცხადა, ეს კაცი გონება მიხდილი მოვიყვანე ანტონოვის ქუჩიდან, არც ვინაობა ვიცი ამისი, არც მისამართიო...სიმსივნე აქვს მთელი სხეულისა, ვკითხულობთ შემდეგ იმ ჩანაწერში, — მაჯისცემა სუსტი. რამდენიმე საათის შემდეგ უგონოდ მყოფი უცნობი გარდაიცვალა" [უახლესი ისტ. არქივი, ერეკლე ლუკაშვილის ფონდი N165, ანაწერი 1, საქმე №6, ფ. 2]. ე. ლუკაშვილი განმარტავს: „მიხეილის საავადმყოფოს 1918 წლის წიგნში ყველა დანარჩენ ჩანაწერებში აღნიშნულია ყოველი ავადმყოფის ვინაობა და მისამართი. ფიროსმანის მეზობლის

მეჩექმე არჩილ მაისურაძის სიტყვით მძიმე ავადმყოფი ნიკალა წაუყვანიათ საავადმყოფოში სწორედ იმ 1918 წლის მარტის თვეში“ [უახლესი ისტ. არქივი, ერეკლე ლუკაშვილის ფონდი N165, ანაწერი 1, საქმე №6, ფ.6]. თავის საგაზეთო წერილში ე. ლუკაშვილი კვლავ იმეორებს, თითქოსდა, მიხეილის საავადმყოფოში 1918 წლის სარეგისტრაციო წიგნში ყველა ჩანაწერი სახელობითი იყო, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. 1918 წელს მიხეილის საავადმყოფოში შესული პირების ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ, თვეების მიხედვით, რამდენიმე სარეგისტრაციო ჟურნალი არსებობს. ასე მაგალითად, იანვარში — ორი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4064 და ს.4065]. თებერვალშიც - ორი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს.4066 და ს. 4067]. მარტში - სამი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4068, ს.4069 და ს.4070]. აპრილში - ორი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს.4071 და ს.4072]. მაისში - სამი [სეა, ფ. 504, ან. 1, ს. 4073, ს. 4074 და ს. 4075]. მეტს აღარ გავაგრძელებ. ამავე დროს, ე. ლუკაშვილი თავისი ფანტაზიით ისეთ დეტალებს უმატებს, რომლებიც მის ვერსიას გაამყარებენ. ასე მაგალითად, თითოსდა, მაისურაძემ მარტის თვე დაასახელა. სინამდვილეში, მაისურაძეს მარტი კი არ უხსენებია, არამედ დააზუსტა: „ზედ აღდგომის ღამე“ იყოო. ი. ლუკაშვილს ასევე შემოჰყავს ახალი პერსონაჟი - მილიციელი და აგვიწერს ასეთ სცენას: არჩილ მაისურაძემ „მომაკვდავი ასწია, ეტლამდე მიათრია, მეეტლეს ფული გადაუხადა, მოიხმო მილ-იციონერი და უკვე გონებადაკარგული კაცის საავადმყოფოში მიყვანა სთხოვა. ასე იხსენებდა არჩილ მაისურაძე ფიროსმანის უკანასკნელ დღეს“ [И. Лукашвили, “Последний день Пиросмани“, газ. “Вечерний Тбилиси“, 1969 წ., 24 მაისი].

დავიწყოთ იმით, რომ მაისურაძე ცალფეხა იყო და მომაკვდავ, დამძიმებულ ადამიანს სარდაფიდან მარტო ვერ ამოიყვანდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მაისურაძის მონათხრობში არავითარი მილიციონერი არ ფიგურირებს. ამ პერსონაჟის დამატება ი. ლუკა-შვილს იმოტომ დასჭირდა, რომ მის მიერ მოძიებულ დოკუმენტში აღნიშნულია: „მოყვანილია მილიციელ ივანე ჩანადირაძის მიერ ანტონოვის ქუჩიდან". ნიკალა ანტონოვის ქუჩიდან კი არ მოხვდა საავადმყოფოში, არამედ მალაკნების ქუჩიდან, სადაც სამი დღე

უპატრონოდ ეგდო სარდაფში. ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ა. მაისურაძის მოგონებები, რის თანახმად, მან მაშინვე ფაიტონი მოიყვანა და რაკი თავად არ ეცალა, ეტლში ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი ჩაჯდა და მომაკვდავი მხატვარი საავადმყოფოში წაიყვანა [გ. ლეონიძე, „ფიროსმანის უკანასკნელი დღე", გაზ. „ბახტრიონი", 1922 წ., №8]. არჩილ მაისურაძეს ხომ დაბეჯითებით უთქვამს გიორგი ლეონიძისათვის, რომ „ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა ღამეს" [გ. ლეონიძე, „ცხოვრება ფიროსმანისა", ჟურნ. „მნათობი" 1931 წ., №3, გვ. 218]. როგორც ვხედავთ, ე. ლუკაშვილმა „აღდგომა ღამე" მოხერხებულად შეცვალა მარტით, ხოლო ი. მგალობლიშვილი - მილიციონერით, ანუ ყველაფერი არქივში მოძიებულ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოიყვანა, რასაც კეთილსინდისიერ კვლევას ვერ ვუწოდებთ. ე. ლუკაშვილი ვერც იმას მიმხვდარა, რომ უცნობი მიცვალებულის ძებნა კუკიის სასაფლაოს წიგნებში კი არ უნდა დაეწყო, არამედ მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში. მის მიერ არასწორად წარმოებული ძიების შედეგებს დაეყრდნენ სხვა მკვლევრებიც. ასე, მაგალითად, ნ. კობიაშვილი აშკარად ე. ლუკაშვილის გავლენით აცხადებს: „სხვა უცნობი ამ წლის გაზაფხულზე მიხეილის საავადმყოფოში არ გარდაცვლილა" [ნ. კობიაშვილი, „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს", თბ., 2004. გვ. 34]. ასევე შეცდომაში იყო შეყვანილი ე. კუზნეცოვი, რომელიც ამტკიცებდა, რომ 1918 წლის 7 აპრილის ჩანაწერი არის „1918 წლის გაზაფხულზე გაკეთებული ერთადერთი უსახელო ჩანაწერი" [Э. Кузнецов, "Пиросмани", Ленинград, 1975 г.].

ლუკაშვილის ვერსიას ირინა ლიკოვაც იზიარებს: 1918 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ნიკოს ძველმა მეგობარმა — მეჩექმე არჩილ მაისურაძემ იპოვა ის მალაკნების ქუჩაზე N29 სახლის სარდაფში...საავადმყოფოს წიგნში ჩაწერეს: „60 წლის მამაკაცი, ღატაკი, წარმოშობა და აღმსარებლობა უცნობია და რადგან უცნობია, ქრისტიანულ სასაფლაოზე საბრალოსთვის ადგილი ვერ მოიძებნა, და დაკრძალეს წესის აგების გარეშე, უცნობია თუ სად... [http://kymiry-xx-veka.narod.ru/pirosmany/pirosmany.htm]. ცნობისათვის, ვიტყვით, რომ სწორედ **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** მეტ-

რიკულ წიგნში ვნახე ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ ე. ლუკაშვილის მიერ ფიროსმანად მიჩნეულ უცნობ მიცვალებულს, რომელიც 7 აპრილს გარდაიცვალა, დეკანოზმა ბარნაბოვმა 12 აპრილს **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** აუგო წესი. ის საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1798, ფ. ფ. 35 და 35ა], მაგრამ ე. ლუკაშვილმა ამის შესახებ საარქივო ჩანაწერები ვერ მოიძია და სწორ გზას ასცდა:

1. ე. ლუკაშვილმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ მიხეილის საავადმყოფოს 1918 წელს ერთი წიგნი კი არ ჰქონდა, არამედ რამდენიმე, თვეების მიხედვით და თოთოში საკმაოდ არიან უცნობი მიცვალებულები.

2. ე. ლუკაშვილისთვის უცნობი დარჩა საავადმყოფოს, ანუ **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** არსებობა.

3. ე. ლუკაშვილმა მონაგონი დეტალების ჩამატებით დაამახინჯა ფაქტები, რამაც საბოლოო ჯამში, მასვე შეუშალა ხელი სიმართლის დადგენაში.

ახლა კი ჩემს ვერსიას გაგაცნობთ, რომელსაც 2003 წლიდან ვამტკიცებ. როგორც ფიროსმანის მეზობლის, ა. მაისურაძის მოგონებებიდან ვიცით, მხატვარი 1918 წლის აღდგომის წინა ღამეს წაიყვანეს საავადმყოფოში. ამიტომ აღდგომის თარიღის განსაზღვრა დიდ მნიშვნელობას იძენს. 2003 წელს, როდესაც ფიროსმანის კვლევა დავიწყე, დავადგინე, რომ 1918 წელს აღდგომა 5 მაისს იყო [მ. ხომერიკი, „ფიროსმანი გარდაიცვალა 1918 წლის 4 მაისს, დაკრძალეს 9 მაისს", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2003 წ., 9 მაისი]. ხოლო საარქივო მასალებით დავამტკიცე, რომ 1918 წლის 4 მაისს, აღდგომის წინა დღეს მიხეილის საავადმყოფოში მიყვანილი აღმოჩნდა „უცნობი წოდების" მამაკაცი, რომელიც იქამდე გარდაიცვალა, ვიდრე ექიმი გასინჯავდა: „ავადმყოფი მოსაცდელში იმყოფებოდა. როდესაც გასასინჯად გამგზავნეს, ის უკვე მკვდარი დამხვდა"- წერს მორიგე ექიმი [სეა, ფონდი 507, ანაწერი 1, საქმე №4073, ფ. 38] (სურ. №7). საავადმყოფოს წიგნის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ არ არის ცნობილი, თუ ვინ და საიდან მოიყვანა. მომაკვდავი თავისი ფეხით ხომ ვერ მივიდოდა, ცხადია, ვიღაცამ მიიყ-

ვანა, მაგრამ იმდენ ხანსაც არ დაიცადა, რომ ავადმყოფის სახელი ჩაეწერინებინა. როგორც ცნობილია, ფიროსმანი საავადმყოფოში მარტო არ წასულა. მას ეტლში ილია მგალობლიშვილი ჩაუსვეს, რომელმაც მერე, როგორც ჩანს, ვერაფერი ამბავი ვერ მოიტანა. რით ავხსნათ ასეთი უგულო დამოკიდებულება? ამ კითხვაზე ისევ და ისევ საარქივო დოკუმენტები გვცემენ პასუხს: 1918 წელს მიხეილის საავადმყოფოს ფინანსურად ძალიან გაუჭირდა. იძულებული გახდნენ, შემოსული ავადმყოფებისთვის ერთი თვის საფასურის გადახდა მოეთხოვათ. მათი ოჯახის წევრებს, თუ ისინი თბილისში ცხოვრობდნენ, მკურნალობის ღირებულების გადახდას აიძულებდნენ, რაც ჯერ პოლიციის დახმარებით ხდებოდა, შემდეგ კი პოლიცია მილიციამ შეცვალა. ყოველი ავადმყოფისგან თანხის ამოღების შესახებ ვრცელი მიმოწერა წარმოებდა, რითაც ძირითადად საქმისმწარმოებელი და კანცელარიის მწერალი იყვნენ დაკავებული. დგებოდა მთელი ტომები, მაგრამ შემოსული თანხები თითქმის უმნიშვნელო იყო [სეა, ფ. 192, ან. 4, ს.129, ფ. 170]. თუ ნიკალას საავადმყოფოში დააწვენდნენ, ვის მოსთხოვდნენ საფასურის გადახდას, თუ არა მის მიმყვან პირს? აი, რისი შეეშინდა ი. მგალობლიშვილს, რომელმაც მომაკვდავი ფიროსმანი როგორღაც საავადმყოფოში შეიყვანა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. ალბათ, მოუვლელი და მომაკვდავი ნიკალა გაცილებით ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რის გამოც ექიმებს, რომლებმაც მისი გასინჯვა და დიაგნოზის დასმაც ვერ მოასწრეს — 70 წლის ჰგონებიათ. ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმი შედგენილია 7 მაისს, საიდანაც ჩანს, რომ მას დაავადებული ჰქონია გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმელები, ხოლო ორივე გაკვეთილი ფილტვიდან მოედინებოდა „ქაფიანი სითხე, დიდი რაოდენობით“ [სეა, ფ. 507, ან. 1, ს. 4073, ფ. 38ა] (სურ. №8). ოქმის მონაცემები ემთხვევა იმ ჩივილებს, რის გამოც ფიროსმანმა სამსახურიდან განთავისუფლება მოითხოვა: „რკინიგზაზე ოთხ წელიწადს ვიმუშავე. აქ მივიღე ქრონიკული სურდო და გულ-მკერდის დაავადება. ზაფხულში გულ-მკერდის ტკივილი მჩაგრავს, ზამთარში კი სურდო. სურდო მატარებელში ძლიერი ორპირი ქარისგან მივიღე, ხოლო გულ-მკერდის დაავადება

უჯარმის ჭაობთა მყრალი ჰაერისაგან" [ლ. გაბუნია, ი. ჯავახიშვილი, „დიდი ცხოვრების მივიწყებული ფურცლები", ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", №8, 1967 წ., გვ. 49-51]. ისიც საგულისხმოა, რომ განთავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე, ფიროსმანი იძულებული იყო ორი თვით შვებულება აეღო და აბასთუმანში წასულიყო სამკურნალოდ. როგორც ირკვევა, ის ტუბერკულოზით ყოფილა დაავადებული. ამდენად, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო საავადმყოფოში 4 მაისს მიყვანილი უცნობი, თუ არა ფიროსმანი. იმის გასარკვევად, იყო თუ არა თბილისში იმ დღეს სხვა უპატრონო მიცვალებული, მართლმადიდებლური ეკლესიების 1918 წლის მაისის ჩანაწერების გადახედვა მომიხდა: უნდა ითქვას, რომ პეტრე-პავლეს და მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიების გარდა, უპატრონო მიცვალებულები სხვაგან არ გვხვდება. ყოველ შემთხვევაში, 4-5 მაისს თბილისში გარდაცვლილი უცნობისთვის წესი არ აუგიათ და შესაბამისად, არც მეტრიკულ წიგნებში შეუყვანიათ შემდეგ ეკლესიებში:

1. ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 85].
2. პეტრე-პავლეს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7. ს. 171].
3. მთავარანგელოზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 236].
4. ანჩისხატის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 285].
5. წმ. თომას (კვირაცხოველის) ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 340].
6. ბერძნის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 455].
7. დიდუბის ღვთისმშობლის კლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 529].
8. ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 991].
9. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1074].
10. კალოუბნის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1249].
11. ალექსანდრე ნეველის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1345].
12. კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1432].
13. კუკიის წმ. ნინოს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1520].
14. მიხეილ ტვერელის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1808].

15. მამადავითის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1873].
16. ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1917].
17. ივერიის ამიერკავკასიის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1918].
18. წმ. ბარბარეს ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 1969].
19. რკინიგზის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2022].
20. წმ. გიორგის სახელობის კარის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2350].
21. სიონის ტაძარი [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2425].
22. სამების ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2528].
23. თბილისის წმ. ფეოდოსიას ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2553].
24. ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესია [სეა, ფ. 489, ან. 7, ს. 2614].

ახლა უკვე ნათლად ჩანს, რომ 1918 წლის აღდგომის წინა ღამეს, ანუ 4 მაისს, თბილისში ერთადერთი უპატრონო მიცვალებული იყო, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვლადიმერ ქიქოძეც და იოსებ იმედაშვილიც ფიროსმანის გარდაცვალების თარიღად 1918 წლის 4 მაისს მიიჩნევდნენ, რაც ემთხვევა ჩემ მიერ დადგენილ თარიღს. ამდენი დამთხვევა შემთხვევით არ ხდება!

ახლა რაც შეეხება ფიროსმანის დაკრძალვას. მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ **მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის** წიგნში მივაკვლიე ჩანაწერს, რომლის თანახმად, 4 მაისს გარდაცვლილ უცნობს 9 მაისს აუგეს წესი და როგორც უპატრონო მიცვალებული საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს [სეა, ფ. 489, ან. 7, ს.1798 , გვ. 37ა, 38] (სურ. №9 და სურ.№10).

რუკებმა საშუალება მომცა ზუსტად განმესაზღვრა კუკიაზე მდებარე საავადმყოფოს სასაფლაოს ადგილმდებარეობა. ის ფაქტობრივად, კუკიის მართლმადიდებლრი სასაფლაოს გაგრძელებას წარმოადგენს (სურ. №11). 1918 წლის 9 მაისს სწორედ აქ დაკრძალეს 4 მაისს გარდაცვლილი ნიკო ფიროსმანაშვილი! ამა-

ზე ზუსტი ადგილის ძიება უაზრობაა, რადგან თავის დროზე ისე დაკრძალეს, რომ მისი ვინაობა არ იცოდნენ და არავითარი წარწერა არ გაუკეთებიათ. უსახელო საფლავებში წლების მერე სხვა მიცვალებულებს კრძალავდნენ. უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ინფორმაციით, რომ ფიროსმანი დაკრძალულია კუკიაზე, წმ. ნინოს სასაფლაოს გაგრძელებაზე. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას **წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში** აუგეს წესი. ამ ფაქტის დამტკიცების შემდეგ, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი ყოველ წელს ატარებს ფიროსმანობას. შეიძლება ითქვას, რომ ნიკალას ოცნებამ შეისხა ფრთები. გავიხსენოთ მის სიტყვები: "ჰოდა, რა გვინდა, ძმებო, იცით? უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასთვის იყოს ახლოს. ავაშენოთ დიდი სახლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე!" დღეს აქ, მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის ეზოში **ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ ალექსანდრე გალდავას** თაოსნობით იკრიბებიან ფიროსმანის ნიჭის თაყვანისმცემლები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები და საუბრობენ ისეთ თემებზე, როგორზეც დიდი მხატვარი ოცნებობდა. ტაძარში კი მისი სულის საოხად პანაშვიდები ტარდება. ამიერიდან ფიროსმანის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა **წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარს** და მისი ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა.



№ 2 прів. покой

Тифлисская Михайловская больница. 38

№ по книгѣ 725	Тедеев
Имя, отчество и фамилія.	неуст. неизвест. звані
Нація и вѣроисповѣданіе	-
Сословіе или званіе	гр
Возрастъ	70
Семейное положеніе	-
Мѣстопроисхожденіе	-
Мѣстожительство	-
Скол врмени въ Тифлисѣ	-
Кѣмъ доставл. больной и откуда	Мило неизвест. откуда
Родъ занятія	-
Образованіе	-
Имуществ. положеніе	-
Время поступленія	19 IV 18
Время выбытія	Умер. 4 часа 13 в.
Болѣзнь	Мозаль

Мес. и чис.	Температура	Пульсъ.	Дыханіе.	Теченіе болѣзни.	ЛѢЧЕНІЕ Порція	Внутреннее.	Наружное.
				Больной найдена в ожидальной комнаты, будучи нашен для осмотр. мертвым. Дез. при бирадзе			
5. V. 1918				Произведено вскрытие. Вацадзе			

№7. 1918 წლის 4 მაისს, აღდგომის წინა დღეს მიხეილის საავადმყოფოში მიყვანილი „უცნობი წოდების" მამაკაცი იქამდე გარდაიცვალა, ვიდრე ექიმი გასინჯავდა [სეა, ფონდი 507, ანაწერი 1, საქმე №4073, ფ. 38].



№8. 1818 წლის 4 მაისს გარდაცვლილის ცხედარი 5 მაისს გაკვეთეს. ოქმი შედგენილია 7 მაისს სეა, ფონდი 507, ანაწერი 1, საქმე № 4073, გვ. 38ა.].



№9. 4 მაისს გარდაცვლილ უცნობს (№ 150) 9 მაისს წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში აუგეს წესი [ფონდი 489, ანაწერი 7, საქმე № 1798, ფ. 37ა].



№10. 4 მაისს გარდაცვლილი უცნობი, როგორც უპატრონო მიცვალებული, კუკიაზე, მიხეილის საავადმყოფოს სასაფლაოზე დაკრძალეს [ფონდი 489, ანაწერი 7, საქმე № 1798, ფ. 38].



№11. 1913 წლის თბილისის რუკის ფრაგმენტი. კუკიაზე არსებული მართლ-მადიდებლური (276), კათოლიკური (277), საავადმყოფოს(278), მალაკნების (279) და ბაბისტების (მუსულმანური სექტის) სასაფლაოები.

MANANA KHOMERIKI

The Archangel Michael Church (where Pirosmani's funeral was served)

Summary

In the work the history of the Archangel Michael church is given. It is shown that Archangel Michael Church was closely connected with Michael's Hospital. It was a hospital church. The city hospital started functioning in the new building in 1868, while in 1882 it was called after the Grand Duke Mikhail Romanoff. The hospital church began functioning in 1869. At first, the Archangel Michael Church was intended only for memorial services of those who died in the hospital, but from the second year of its existence, it also started to serve baptism and wedding ceremonies. In 1870 the hospital was allocated a piece of land for its own cemetery, which was an extension of the Kukia Orthodox cemetery. This is how a kind of complex was created, a certain system of burying unknown persons who died at the hospital: in Archangel Michael Church a commemoration service was served for the repose of their soul and then they were buried in the hospital's cemetery in Kukia.

It should be noted that the priest Vasil Karbelashvili worked in the church in 1888-1902, who was canonized as a saint in 2011, together with his brothers. After the canonization Bishop Stephen (Vasily) was called the "Holy Confessor". He greatly contributed to opening a church school. It was Vasil who served a church funeral in 1893, for the famous Georgian writer Alexander Kazbegi who died in the Michael's Hospital. In 1903 priest Vasil Karbelashvili was removed from the Archangel Michael Church and transferred to Shamakhi (Azerbaijan), because he was considered a dangerous person for the government, and it was considered inadvisable to leave him in Tbilisi. The reason was that Vasil Karbelashvili was blamed as an organizer of an anti-government demonstration, into which funeral of Mose Megrelidze qrew, who died at Mikheil's Hospital.

As the author has finally established, on May 4, 1918 the famous selftought artist Pirosmmani died in the Mikheil's Hospital. On May 9 in the Archangel Michael church a comemoration was served for the repose of his soul and on the same day Pirosmani was buried in the hospital's cemetery in Kukia. It was not possible to

prove this fact for years, the main reason of which was that the researchers knew nothing about the above-mentioned practice of burying the unknown dead. Because of that they never mentioned the Archangel Michael Church and never studied its metric books.

After the inforced Sovietization of Georgia the church was closed. It returned to the Patriarchate only in the 1990-ies. In the given work, for the first time, the identity of all the priests and deacons serving in the temple at different times was revealed. The work brings the reader to the point where the revival of the temple begins under archpriest Alexander Galdava.

გამომცემლობა
მერიდიანი

დაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

მხატვრობა — წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის
წინამძღვარი, დეკანოზი ალექსანდრე (ბალდავა)